ლელო

№ 157 (12 227)

6 ივლისი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

შავი ზღვის თამაშები 2007

რა ამბავია, ქართველებო?!

ანტიკოსებმა გვასახელეს: კიდევ ორი ოქრო

თათია ბურდული
თენგიზ გაჩეჩილაძე

ტრაბზონიდან

არასდროს, არც ერთი დონის საერთაშორისო შეჯიბრებაში, ქართველ "ანტიკოსებს" ერთ ტურნირში ამდენი მედალი არ მოუპოვებიათ. "რა ამბავია ქართველებო?!" - გაოცებულები კითხულობდნენ მეტოქეები. პირველსავე დღეს, ანტიკურ ჭიდაობაში ბრწყინვალე წარმატების შემდეგ, გუშინ ჩვენი დელეგაციის გულისყური კვლავ საჭიდაო დარბაზისკენ იყო მიპყრობილი, სადაც ბრძოლები კიდევ ხუთ წონით კატეგორიაში გრძელდებოდა. ხალიჩაზე ჯერ მძიმეწონოსნები გავიდნენ. აქ თავი მოიყარეს რუსეთის, თურქეთის, საბერძნეთის, საქართველოსა და რუმინეთის რჩეულმა ახალგაზრდა მოჭიდავეებმა. წონაში მონაწილეთა სიმცირის, მაგრამ მედლებისთვის მებრძოლთა სიძლიერის გამო, შემთხვევითობის თავიდან ასაცილებლად, მხოლოდ ამ წონაში ჩატარდა შეჯიბრება წრიული სისტემით. სასტარტო პაექრობაში ჩვენი ათლეტის **ვასილ იმერლიშვილის** მეტოქე თურქი **ალი სევინსი** იყო. თუ რას ნიშნავს თურქი მოჭიდავის გასვლა ხალიჩაზე, საკუთარი მაყურებლის თვალწინ, ყველამ კარგად იცის. მიუხედავად ერთგვარი ფსიქოლოგიური წნეხისა, ქართველი საასპარეზოდ თავდაჯერებული გავიდა, ინიციატივა ხელთ იგდო და პირველი პერიოდი 7:0 მოიგო. მერე, თურქმა საოცარი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა, თუმც გამარჯვება მაინც ჩვენებურს დარჩა. იმერლიშვილმა მეორე შეხვედრაც შესანიშნავად ჩაატარა და რუმინელ **ალენ ალექსის სიურარიუს** დიდი უპირატესობით სძლია.



ზურაბ დათუნაშვილი

დილით გამართული პაექრობების შემდეგ, ჩვენმა ხუთივე მოჭიდავემ მედლებისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა. დღის ანგარიში **თორნიკე ნაჭყებიამ** (69) გახსნა. მან ადვილად დაამარცხა ბერძენი **იონას ლამაროუ** და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. შემდეგ, ასევე მესამე პრიზიორი გახდა **ბექა ჩოფლიანი** (85), რომელმაც აზერბაიჯანელ **აზად აზადზადეს** აჯობა. მერე კი დაიწყო ორთაბრძოლები ოქროს მედლებისთვის. **ჯემალ ხარაბაძის** (50) მეტოქე რუსი **მურატ ბატმაზი** იყო. ბათუმელი ვერცხლის მედალს დასჯერდა. **ზურაბ დათუნაშვილმა** (58) მთელი ტურნირი შესანიშნავად ჩაატარა და მისგან ფინალშიც ვაჟკაცურ ბრძოლას მოელოდნენ. იმედი გამართლდა. ზურაბმა არანაირი შანსი არ დაუტოვა სომეხ თანატოლს **გეორქ ხაჩატურიანს** და ჩვენს გუნდს ოქროს მედალი მოუტანა. დარჩა კიდევ ერთი შანსი. როგორც ზემოთ ითქვა, მძიმეწონოსნებმა წრიული სისტემით გამართეს ტურნირი და მედლებიც დაგროვილი მოგება-წაგებებით განაწილდა. ბოლო შეხვედრამდე **ვასილ იმერლიშვილი** ლიდერობდა. ან მოგება ან უახლოესი მდევრის წაგება უხსნიდა მას გზას კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ. ვასილმა საქმე საჭოჭმანოდ აღარ გახადა და უძლიერესი რუსი მეტოქე **ჰაჯიმურატ მუსტაფაევი** ჯერ ორჯერ მისსავე ილეთზე წამოაგო და ქულა აართვა, შემდეგ კი ხალიჩას გააკრა და საქმე ვაჟკაცურად მოათავა. ეს იყო ამ თამაშებზე "ანტიკოსების" მეოთხე ოქროს მედალი. ასე რომ, მათ 10 წონით კატეგორიაში 9 მედალი (4 ოქროს, 2 ვერცხლის და 3 ბრინჯაოსი) მოიპოვეს. ამასთან, ჩვენ ნაკრებს გუნდური პირველი ადგილიც უკავია. თურქეთის ნაკრები მეორეა, მესამეზე აზერბაიჯანია, რუსეთი მხოლოდ მეოთხე პოზიციას დასჯერდა. ჩვენი გუნდის მთავარი მწვრთნელი **ვაჟა კრავეიშვილია**, მეორე მწვრთნელი **ზაზა სილაგაძე**. დავძენთ, რომ თურქეთის სახელით ქართული წარმოშობის ხუთი სპორტსმენი ჭიდაობდა...



ვასილ იმერლიშვილი

ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელმა **დავით გობეჯიშვილმა**, ტრადიციულ თათბირზე, "ანტიკოსთა" გუნდს მადლობა გადაუხადა და გამარჯვებულს საჩუქრად გადასცა ი. დიმოვის წიგნი "საჭიდაო ხალიჩის რაინდები".

ფეხბურთელთა მეტოქე გუშინ ალბანეთის ნაკრები იყო. **ჰერბერტ ცანკერის** შეგირდებს მეტოქის დამარცხება არ გასჭირვებიათ - 2:0. პირველ ნახევარში **ახალბედაშვილმა** ქართველები პენალტით დააწინაურა, მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე კი **შეყილაძემ** საბოლოო წერტილი დასვა. ჩვენმა გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ნიორაძე, ახალბედაშვილი, მირცხულავა, რიგვავა, მეგრელიშვილი, მამულაძე (68. გუგუჩია), ქაშაკაშვილი, შონია (41. მელიქიშვილი), ძალამიძე, ხურციძე (60. მეუნარგია), შეყილაძე (82. კაჭახიძე)**. ჩვენი გუნდი, თურქების შემდეგ, ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდა და მედლებისთვის ბრძოლას გამოეთიშა.

კალათბურთელებმა აზერბაიჯანს 82:64 მოუგეს. მძლეოსნებიდან ბადრო ყველაზე შორს (18.72 მ) სტყორცნა **გიორგი ბედოშვილმა** და ოქროს მედალს დაეუფლა. **გიგლა ზილბერშტაინი** 3000 მ. რბენაში მეოთხე ადგილზე გავიდა, არადა, ბრინჯაოს შანსი ჰქონდა. 400 მ. თავისუფალი სტილით ცურვაში მეოთხე იყო **ირაკლი რევიშვილიც**.

ორივე მედალი მოვიპოვეთ ტაეკვონდოში და ორივე ბრინჯაოსი. პრიზიორები გახდნენ **ნინო ბერიძე** (42) და **ბექა უმიკაშვილი** (45). წარუმატებლად ავილეთ სტარტი მხატვრულ ტანვარჯიშსა და მშვილდოსნობაში.

რაც შეეხებათ ველოსიპედისტებს, ტრაბზონი-გირესუნის მონაკვეთზე ქართველებიდან საუკეთესო შედეგი (მე-7 ადგილი), აჩვენა **ნოდარ ყვავაძემ** (3:13:40), რომელიც ლიდერს 10 წამით ჩამორჩა. გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრები მე-4 პოზიციაზეა.

საქართველოს ჩემპიონატი

ცხინვალი გადარჩა

პროფლიგის კომისია: ფული ყველას აქვს, ჩიხურას გარდა

3



არველაძე ალკმაარში არ ჩავიდა

შოთა: აიაქსი მოგონილია. ახალი გუნდი? თუ შეთავაზება იქნა, ვიფიქრებ...

ინტერვიუ 2



ბოლნისში აკობია იმუშავებს

სიონი მადნეულისა და გამგეობის შემყურეა

3

პლაჟბურთი

საქა-რთველო მეორე წრეში

კანადის ქალაქ მონრეალში პლაჟის ფრენბურთში მსოფლიო ტურის მნიშვნელოვანი ტურნირი მიმდინარეობს, რომელშიც ვაჟთა და ქალთა შორის ქართული წყვილები ძირითად ბადეში თამაშობდნენ. **გეორ-გია** ბოლო დროს წარმატებით ასპარეზობს, ასე რომ, გასაკვირია დანიელებთან (**სოდერბერგი, ჰოიერი**) მათი მარცხი პირველივე წრეში - 1:2 (22:20, 13:21, 10:15). მატჩი 58 წუთს გაგრძელდა. ფავორიტი ჩვენი გუნდი იყო, მას ტურნირზე მე-6 ნომერი ჰქონდა, მაგრამ...

სამაგიეროდ, **საქა-რთველომ** ქალთა ტურნირში პირველი წრე გადალახა. ტურნირის 23-ე ნომრებმა მე-10 ნომრად განთესილ და თან მასპინძელ კანადელებთან (**კუკი, მარტინი**) 2:1 (18:21, 23:21 25:23) მოიგეს. პირველ წრეში ყველაზე დაძაბული სწორედ ეს მატჩი გამოდგა. ის საათზე მეტს გაგრძელდა...

LIVE

სპორტული საინფორმაციო ცენტრი

272-272

ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ

LIVE

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ შოთა არველაძესთან

შოთა ალკმაარში არ ჩავიდა

ქინქლაძე ფეხბურთიდან წასულა...

ბოლო დღეებია, რამდენიმე ჰოლანდიური ვებ-გვერდი ავრცელებს ცნობას იმის შესახებ, რომ 34 წლის შოთა არველაძე ვინძლო "ალკმაარიდან" თავის ყოფილ კლუბ ამსტერდამის "აიაქსში" გადავიდეს. ასეთი ინფორმაცია არველაძემ კი უარყო, მაგრამ საქმე იქითკენ მიდის, რომ შოთა, ალბათ, მაინც გამოიცვლის კლუბს.

გუშინ ჰოლანდიური გამოცემა ELseviera იუწყებოდა, "ალკმაარი" დღეს იწყებს ახალი სეზონისთვის მზადებას, არველაძე კი გუნდში ჯერ არ არის, ერთ კვირაში მივა "ალკმაარში", მანამდე კი სატრანსფერო შეთავაზებები უნდა განიხილოსო.

ცხადია, გაურკვევლობაა - თუ შოთა სატრანსფერო შემოთავაზებებზე ფიქრობს, იქნებ გადაწყვეტილებაც მიიღოს და მაშინ როგორლა დაბრუნდება ლუის ვან გაალის გუნდში?

არველაძე ახლა თბილისშია და მას გუშინ რამდენიმე კითხვით მივმართეთ, თუმც ვერ დავიჩემებთ, რომ საკითხი ამოვწურეთ - ყოველივეს ისეთი პირი უჩანს, შოთას "ალკმაარში" დარჩენა გადაწყვეტილი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ მას გუნდთან კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებს .

- რატომ უნდა მიხვიდე "ალკმაარში" ერთი კვირით გვიან?

- ერთი კვირით ზედმეტს დავისვენებ და თუ ამ ხნის განმავლობაში რამე შემოთავაზება მექნება, მოვიფიქრებ...

- შემოთავაზებას "აიაქსიდან" ელი?

- ვიცი, რომ ამის შესახებ ჰოლანდიურ გამოცემებში დაიწერა, მაგრამ ჩემთვის "აიაქსიდან" არავის მოუმართავს.

- "ალკმაარში" დარჩენის სურვილი აღარ გაქვს?

- მხოლოდ მე არ დავიწყებ მოსამზადებელ ეტაპს მოგვიანებით. "ალკმაარის" ის ფეხბურთელები, ვინც სხვადასხვა ნაკრებში თამაშობენ, გუნდს 16 ივლისს შეუერთდებიან, მე კი გუნდში 10 ივლისს მივალ. მანამდე უქმად არ ვიქნები, ხვალ გიო ქინქლაძეს დაბადების დღეს მივულოცავ.

- ამ დღეებში ჰოლანდიურ გამოცემებში იმაზეც იყო ლაპარაკი, არველაძე შესაძლოა, ყატარში წავიდეს სათამაშოდო. ქინქლაძეც ხომ არ ფიქრობს ყატარში თამაშზე?

- უკვე შემიძლია გადაჭრით გითხრათ, რომ ქინქლაძემ ფეხბურთს თავი დაანება.

- ფეხბურთის თავი თემურ ქეცბაიამაც დაანება - 14 ივლისს ფამაგუსტაში მას გაცილებასა და გამოსათხოვარ მატჩს უწყობენ. აპირებ იქ ჩასვლას?

- ალბათ ვერ ჩავალ, რადგან უკვე სეზონისწინა მოსამზადებელ შეკრებაზე ვიქნები. ქეცბაიას გამოსათხოვარ მატჩზე უმეტესად საქართველოს ნაკრების ის ფეხბურთელები ჩავლენ, თამაშს თავი რომ დაანებეს.

დავით თავართქილაძე

შოთა არველაძე


ვარლამ კილასონია

ეთნიკოსიდან ოლიმპში

სერბები თანამემამულემ გამოაგზავნა

რუსთავის "ოლიმპი" ევროდებიუტისთვის ემზადება. საქართველოს ჩემპიონის მეტოქე გარკვეულია - იგი ყაზახეთის ოქროსმედალოსანი "ასტანაა", რომელიც დღეს საკმაოდ მძიმე ვითარებაშია ჩავარდნილი - შარშანდელი ჩემპიონი მეათე ადგილზეა და აშკარა კრიზისშია.

პირველი შეხვედრა რუსთავში 17 ივლისს გაიმართება, მეორე კი კუსტანაიში - 24-ში. რუსთავის სტადიონზე დიდი სამუშაო ჩატარდა და წინასწარი შეფასებით, უეფას წარმომადგენლის გამოცდას უნდა გაუძლოს.

გუნდი ამჟამად ურეკში ემზადება. დღეს რუსთაველები დედაქალაქურ "ლოკომოტივს" ამხანაგურად 18 საათზე გაეჯიბრებიან. შეხვედრა ურეკის "ოლიმპის" სტადიონზე დაიგეგმა.

გუნდის მთავარი მწვრთნელი **ვარლამ კილასონია** პრობლემურ პოზიციებზე სელექციას აგრძელებს. **თორნიკე აფციაური** უკრაინაში მიდის და მის ადგილზე სერბი გამთამაშებელი ჩამოიყვანეს.

იგი თავისი ქვეყნის 19-წლამდელთა და ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრი **ვლადან ჟივკოვიჩია**. მან ზუგდიდის "მგლებთან" ითამაშა.

> **ვლადან ჟივკოვიჩი**
> დაიბადა 1982 წლის 6 ივნისს.
> სიმაღლე - 1,79 მ, წონა - 71 კგ.
> გუნდები: ბელგრადის "პარტიზანი", "იონიკოსი" (საბერძნეთი), "პანსერაიკოსი" (საბერძნეთი), "ეთნიკოსი" (საბერძნეთი).

მასზე მცირე ინფორმაცია მოგვაწოდეს:

ბოლოს იგი საბერძნეთის "ეთნიკოსში" თამაშობდა. იგი რუსთაველებს სერბმა აგენტმა **ვლადენ ფურტულამ** გამოუგზავნა.

ცენტრალური მცველის, **გიორგი ონიანის** შემცვლელიც გამოინახა - ყოფილმა დინამოელმა **დავით გიგაურმა** რამდენიმე დღის წინათ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მართალია, წინასწარი შეთანხმება არსებობდა, მაგრამ "ოლიმპმა" და "დინამომ" ტრანსფერის პირობები საბოლოოდ მხოლოდ გუნდის ურეკში გამგზავრებამდე გაარკვიეს.

მარჯვენა მცველის, გიორგი სეთურიძის შემცვლელად განის ნაკრების წევრი **ჯერი აკაიონ კუ** მოიაზრებოდა, მაგრამ კილასონიას იგი არ მოეწონა და უკან გააბრუნა. ხვალ გუნდს კიდევ ერთი სერბი შეუერთდება - მარჯვენა მცველი. მასზე მხოლოდ ის ვიცით, რომ გერმანიაში უთამაშია - სად და როდის, ჯერ ვერ გვითხრეს. მას თბილისში გუშინ გვიან ღამით ელოდნენ.

გუნდის ვიცე-პრეზიდენტი **ბადრი ქარქაშაძე** იმედოვნებს, რომ ამჟამინდელი დღევანდელი შემადგენლობით პირველი ეტაპის გავლა შესაძლებელია.

"ცუდია ის, რომ ვხვდებით ტონუსში მყოფ გუნდს. ახლა ყაზახეთში ჩემპიონატი მიმდინარეობს და "ასტანა" უფრო მომზადებულია, ვიდრე ჩვენი გუნდი. თუმცა, უნდა ვიბრძოლოთ და ამაზე ორი აზრი არაა. რა თქმა უნდა, ყოველთვის სასურველია უფრო გაძლიერება, მაგრამ რა საშუალებაც გაგვაჩნია, იქიდან გამოვდივართ".

გუნდის დაკომპლექტება 9 ივლისისთვის უნდა დასრულდეს, რადგან ეს უეფაში განაცხადის შეტანის ბოლო დღეა.

მერაბ მამულაშვილი

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

გი ჰელერსი

ექსტოპი ტოპიმდე

22 აგვისტოს საქართველოს ეროვნული ნაკრები ამხანაგურ მატჩს გამართავს სტუმრად ლუქსემბურგთან, თუმცა ჯერ არ არის დადგენილი, თუ რომელ ქალაქში უმასპინძლებს **გი ჰელერსის** გუნდი **კლაუს ტოპმიოლერისას**.

ამასობაში ლუქსემბურგმა კიდევ ერთი სპარინგ-მეტოქე გამონახა და თარილის გარდა, მატჩის გასამართი ადგილიც დაადგინა - 15 აგვისტოს ეტელბრუკში ტოპმიოლერის ყოფილ გუნდს, "ლევერკუზენის" გაეჯიბრება.

ლუქსემბურგი ევროშესარჩევის G ჯგუფის ბოლოადგილოსანია, შვიდ თამაშში ქულა ვერ მოუნაგრებია და ოდენ ერთი ბურთი გაუტანია.

დავით თავართქილაძე

გახსენი... ყაზბეგი

www.kazbegi.com

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერი

ონიანი სამი წლით იენაში

გუშინ, ინფორმაცია "კარლ ცაისის" ოფიციალურ საიტზეც გამოქვეყნდა: "23 წლის გიორგი ონიანი "კარლ ცაისის" მცველია. 186 სანტიმეტრი სიმაღლის მცველი ოთხშაბათიდან კლუბის საკუთრებაა, მან "ტეუტონიასთან" ამხანაგურ მატჩშიც მიიღო მონაწილეობა".

"ონიანი ზუსტად ის ფეხბურთელია, ვისაც ჩვენ ვეძებდით დაცვის თამაშის დარეგულირებისთვის. ის თავით კარგად თამაშობს, სწრაფია და ფიზიკურად ძლიერი", - ასე აღწერა **ლუტც ლინდემანმა** იენელთა რიგით მეშვიდე ახალწვეული.

გიორგი ონიანი გერმანიაში 3-ნომრიანი მაისურით ითამაშებს. "კარლ ცაისის" ოფიციალურ ვებ გვერდზე წერია, რომ მან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. გუშინ გიორგის დავუკავშირდით და ინფორმაცია დაგვიზუსტა: "ერთწლიანი კი არა, სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმე. საიდან მოხდა უზუსტობა, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტი ასეა. 2+1 სისტემის ხელშეკრულებას მოვაწერე ხელი".

გიორგი ახალი კლუბით კმაყოფილია: "უზომოდ ბედნიერი ვარ, ისეთ სოლიდურ კლუბში ჩავირიცხე. ორი დღე იენაში ვიყავი, ოფისი, ბაზა ვნახე და გავოცდი. აქ ვიხილე ის, რაც არაა საქართველოში. რომელი ცნობილი ფეხბურთელი მე ვარ, მაგრამ პატივისცემას ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობ. ამათ ჯერ კიდევ ახსოვთ 1981 წლის თბილისის "დინამო" და აშკარაა, ქართველებისადმი კეთილგანწყობაც ამის შედეგია."

ონიანი იენელთა შემადგენლობაში პირველ სადებიუტო შეხვედრაზეც გვესაუბრა: "უკვე ჩავატარე საკონტროლო შეხვედრა, მაგრამ მგზავრობით დაღლილმა მხოლოდ ოცი წუთი ვითამაშე. მწვრთნელმა მკითხა, როგორ გირჩევნიაო და მეც ვთხოვე, მოედანზე ბოლოს შევალ-მეთქი". გიორგის თქმით, რადგან კონტრაქტი უკვე გაფორმებულია, იგი ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩში რუსთავის "ოლიმპს" ყაზახეთის ჩემპიონ "ასტანასთან" ველარ დაეხმარება.

ნიკოლოზ ნეფარიძე,
მერაბ მამულაშვილი

გიორგი ონიანი კარლ ცაისის ვარჯიშზე

17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი

პირველი მეტოქე ხორვატიაა

შემოდგომაზე, 19-წლამდელთა დარად, 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპის მატჩებიც ჩატარდება. **ჰაინც ტოპმიოლერის** გუნდი ჯგუფის მასპინძელია, ხოლო **ჰერბერტ ცანკერის** შეგირდები ელიტრაუნდის საგზურისთვის ბულგარეთში იბრძოლებენ. ჩვენს ჯგუფში ბულგარელთა გარდა, უნგრელები და ხორვატები არიან.

მატჩების განრიგი უკვე დადგინდა. თამაშების ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

24.09.07. ხორვატია-საქართველო
ბულგარეთი-უნგრეთი

26.09.07. უნგრეთი-საქართველო
ბულგარეთი- ხორვატია

29.09.07. ბულგარეთი-საქართველო
ხორვატია-უნგრეთი

ყველა მონაწილე გუნდი საკურორტო ქალაქ ალბენაში დაბინავდება. მატჩები ალბენასა და კავანაში გაიმართება. შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან ელიტრაუნდში ჯგუფის ორი გამარჯვებული გადის. ელიტრაუნდის მატჩები გაისად გაზაფხულზე გაიმართება, ჩემპიონატის ფინალური ეტაპი კი მომავალ ზაფხულს შედგება.

დავით ცაბაძე

ლეგიონერი

იმედაშვილმა სატურნს ავსტრიაში ჩააკითხა

მარცვალაძემ არსენალში ორჯერ ითამაშა

ოთარ მარცვალაძე უკვე კიევის "არსენალში" ვარჯიშობს. მართალია, ჯერ ორი დედაქალაქური კიევური კლუბის ხელმძღვანელობა ერთმანეთში საბოლოოდ არ შეთანხმებულა, მაგრამ ყველაფერი აქეთკენ მიდის. ქართველი თავდამსხმელი უკვე ხუთი დღეა, "მეთოფეებთან" ერთად ვარჯიშობს. ეს გუშინ ოთარმა თავად გვითხრა.

"სეზონისთვის მომზადება როგორც კი დაიწყო, ყველაზე მეტი აქტიურობა კიევის "არსენალმა" გამოიჩინა. მეც ხუთი დღეა, აქ ვვარჯიშობ და უკვე ორი შეხვედრაც ჩავატარე. პირველი კონჩა-ზასპეში კიევის "დინამოს" დუბლების წინააღმდეგ, რომელიც 3:1 მოვიგეთ. პირველ ტაიმს 0:1 ვაგებდით. მეორე ნახევარში მათამაშეს და "დინამოს" დუბლებს სამჯერ გავუტანეთ. მეორე შეხვედრა გუშინ გვქონდა პირველი ლიგის გუნდთან და ესეც მოვიგეთ - 1:0. ეს გოლი ჩემი გადაცემის შემდეგ გავიდა. ამათთან უკვე ორივე ტაიმი მოედანზე ვიყავი. ალბათ, "არსენალში" დავრჩები, თუმცა ჯერ საბოლოოდ ყველაფერი გარკვეული არაა. გუნდებმა ერთმანეთთან პირობები უნდა შეათანხმონ", - ამბობს მარცვალაძე.

დავით იმედაშვილი

უკრაინული "სპორტ-ექსპრესის" ინფორმაციით, კიევის "არსენალს" მარცვალაძის "დინამოდან" გამოსყიდვა სურს. ამაზე ოთარი ვერაფერს გვპასუხობს: "ასეთი რამ უკრაინულ პრესაში კი დაიწერა, მაგრამ კლუბების მეპატრონეთა შორის მოლაპარაკებებზე ბევრი არაფერი ვიცი. არენდით ვითამაშებ თუ ტრანსფერს გამოისყიდიან, ჯერ ჩემთვის არაფერი უთქვამთ. ისე, ერთი სული მაქვს, ყველაფერი გადაწყდეს და ამოვისუნთქო."

კიევის "დინამო" უკვე დატოვა მეორე ქართველმა **დავით იმედაშვილმა**. ესეც მარცვალაძისგან შევიტყვეთ. "დათო გუშინ ავსტრიაში გაემგზავრა. იქ რუსეთის პრემიერლიგის "სატურნი" ვარჯიშობს და როგორც ვიცი, მას სწორედ რამენსკოელები გასინჯავენ".

მართლაც, გუშინ "სატურნმა" საკონტროლო მატჩი ჩაატარა პოლონეთის ჩემპიონ "ზაგლებიესთან". იმედაშვილმა მეორე ტაიმში ითამაშა და ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა. რაც შეეხება სატურნელ **გოგიტა გოუას,** ის ამჟამად მიუნხენშია, სადაც მენისკის ოპერაციას გაუკეთებენ. **ალექსანდრე კვახაძე** კი "სატურნს" 13 ივლისიდან შეუერთდება

მერაბ მამულაშვილი



თარიღი

ქინქლაძე გიორგი. დაიბადა 06.07.1973, თბილისი. ფეხბურთი, ნახევარმცველი. თამაშობდა თბილისის "მრეტებში" (1990-92), "დინამოში" (1992-93, 94-95), "ზაარბრიუკენში" (გერმანია, 1994), "მანჩესტერ სიტიში" (ინგლისი, 1995-98), "აიაქსში" (ჰოლანდია, 1998-99), "დერბი ქაუნთიში" (ინგლისი, 1999-2003), "ანორთოსისში" (კვიპროსი, 2005), ყაზანის "რუბინში" (2005-06). საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 95 მატჩი (50 გოლი). საქართველოს სამგზის ჩემპიონი (1993, 94, 95) და ორგზის თასის მფლობელი (1993, 95). საქართველოს ორგზის წლის საუკეთესო ფეხბურთელი (1993, 96). საქართველოს ნაკრებში ითამაშა 49 მატჩი (8 გოლი). პირველი ქართველი სპორტსმენი, რომელშიც უცხოურმა კლუბმა მილიონზე მეტი გადაიხადა ("მანჩესტერ სიტი", 2 მლნ. გირვანქა).

პროფესიული ფეხბურთის ლიგა

ხვალ: ჩიხურას ცხინვალი ჩაანაცვლებს

ამის თაობაზე "ლელო" სისტემატურად წერდა. ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ განახლებული და ფინანსურად მომძლავრებული "ცხინვალი" უმაღლეს ლიგაში ითამაშებს და როგორც მოსალოდნელი იყო, "ჩიხურას" ადგილს დაიკავებს.

გუშინდელი დღე უმაღლესის კლუბებისთვის პროფესიულ ფეხბურთის ლიგაში ფინანსური გარანტიების წარდგენის ბოლო ვადა იყო. 300 ათასი ლარის გარანტია მხოლოდ საჩხერულ კლუბს არ აქვს. "ჩიხურას" ვიცე-პრეზიდენტის, **კახა გელბახიანის** თქმით, გუნდის უმაღლეს ლიგაში ასპარეზობა საბოლოოდ გამოირიცხა. "ჩიხურას" "ცხინვალით" ჩანაცვლების ამბავი კი სხვა კლუბების წარმომადგენლებმა დაგვიდასტურეს.

პფლ-ს გუშინ ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია. სამაგიეროდ, ხვალ მის ოფისში 14 უმაღლესლიგელი შეიკრიბება და კალენდრის წილისყრა მოეწყობა.

ლევან ჯანეზაშვილი

ეროვნული ჩემპიონატი. კლუბები

სიონს აკობია გაწვრთნის

კლუბი გამგეობასა და მადნეულს დარჩათ



ნოდარ აკობია

როგორც იქნა, "სიონის" ირგვლის ბურუსი გაიფანტა და გადაწყდა, რომ ბოლნისური კლუბის გენერალური სპონსორი ისევ სააქციო საზოგადოება "მადნეული" იქნება. ამას გარდა, კლუბს ბოლნისის გამგეობაც დააფინანსებს. ყველასათვის კარგადაა ცნობილი ისიც, რომ "სიონის" მთავარი მწვრთნელი **კახა ცხადაძე** აღარაა.

"კლუბთან კონტრაქტი ახლახანს დამიმთავრდა, მაგრამ ქვემო ქართლის გუბერნატორ ზურაბ მელიქიშვილთან ინტენსიური კონტაქტი მქონდა და კლუბის ირგვლივ მიმდინარე მოვლენების საქმის კურსში ვიყავი. სამწუხაროდ, კლუბის ფინანსური მდგომარეობა ისეთი აღარაა, როგორც უწინ იყო. კონტრაქტის გაგრძელება კი შემომთავაზეს, რომელიც წინა ხელშეკრულების პირობებისგან საგრძნობლად განსხვავდებოდა. ერთი სიტყვით, შემოთავაზებული პირობები ჩემთვის მისაღები არ იყო და პოსტი დავტოვე," – "ლელოსთან" საუბარში განაცხადა ბოლნისელთა გუნდის უკვე ყოფილმა თავკაცმა კახა ცხადაძემ.

"დიახ, გაურკვევლობა უკვე წარსულს ჩაბარდა. "სიონის" გენერალურ სპონსორად სააქციო საზოგადოება "მადნეული" დარჩა. კლუბს კვლავაც დააფინანსებს ბოლნისის გამგეობა. პროფლიგაში უკვე წარვადგინეთ ფინანსური გარანტიები. ასე რომ, გუნდი ჩვეულებრივ განაგრძობს ასპარეზობას. მოლაპარაკებები მიმდინარეობს ნოდარ აკობიასთან და როგორც ჩანს, გუნდის მთავარი მწვრთნელი სწორედ იგი გახდება", - გვითხრა ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულმა **ზურაბ მელიქიშვილმა**.

მასთან საუბრიდან რამდენიმე საათში "სიონის" ვიცე-პრეზიდენტ **დავით სილაგაძეს** დავუკავშირდით.

"უკვე გადაწყვეტილი ამბავია, გუნდს ნოდარ აკობია ჩაიბარებს. თუ ვინ დაეხმარება მას, ესეც მალე გაირკვევა. კლუბს ახალი სეზონის ბოლომდე "მადნეული" და ბოლნისის გამგეობა დააფინანსებს. 2-3 კომპანიასთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები და შესაძლოა, პირველი წრის ბოლოს სპონსორები კიდევ შემოგვემატონ".

რაღა თქმა უნდა, ყოველივე ამის შემდეგ თავად **ნოდარ აკობიას** შევეხმიანეთ.

"ამ რამდენიმე საათის წინ შემომთავაზეს გუნდის მთავარი მწვრთნელობა და საბოლოოდ, თანხმობა განვაცხადე. ხვალ, 12 საათზე ბოლნისურ კლუბში წარმადგენენ.

გუნდი არაერთმა ფეხბურთელმა დატოვა, მაგრამ ვინც დარჩა, შეიძლება ითქვას, რომ გუნდის ძირითად ბირთვს შეადგენენ.

ცოტა არ იყოს, დაგვიანებულია მომზადების დაწყება, მაგრამ ყველანაირად შევეცდებით, სეზონის დაწყებამდე დარჩენილი პერიოდი მაქსიმალურად გამოვიყენოთ და ჩემპიონატს სრულ მზადყოფნაში შევხვდეთ. მოსამზადებელ შეკრებაზე აჭარაში წავალთ..

2-3 ფეხბურთელს დავიმატებთ. მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ მიხეილ ბობოხიძესთან და იმედია, იგი ჩვენს წინადადებას დათანხმდება.

ვინ იქნება ჩემი თანაშემწე? ეს ხვალ-ზეგ გადაწყდება," – განუცხადა "ლელოს" ნოდარ აკობიამ.

აი, დღეისთვის სულ ეს იყო. "სიონის" შესახებ მომდევნო ნომრებშიც გაცნობებთ.

დავით ცაბაძე

www.kazbegi.com

გახსენი...

ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

მივიწყებული სახელები

თამაზ ლაცაბიძე

ლომბიერი და ნოვატორი

ქართულ სამსაჯო კორპუსში ყოველთვის იყვნენ გამორჩეული არბიტრები; აი, თუნდაც თამაზ ლაცაბიძე გავიხსენოთ - ეროვნული ჩემპიონატის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მსაჯი. ლაცაბიძემ ჯერ საკავშირო ჩემპიონატის უდიდესი "სკოლა" გაიარა, მერე კი ეროვნულ ჩემპიონატში 300-მდე მატჩი იმსაჯა. სხვათა შორის, ამ არბიტრს არასდროს უყვარდა წითელ-ყვითელი ბარათების აქეთ-იქეთ დარიგება და თითქმის ყველა შეხვედრას ისე ასრულებდა, თამაშის სადავეები ხელთ რომ ეპყრა. უშეცდომო მსაჯი გინახავთ? ამ მხრივ არც თამაზ ლაცაბიძე იყო გამონაკლისი, მაგრამ ვერაფრით ვიხსენებთ ისეთ შეხვედრას, მის შეცდომას მატჩის შედეგზე რომ ემოქმედა.

...ბოლო ერთი წელიწადი რუსეთში იყო; ხვდებით, ალბათ, რომ შორეულ ურალის მხარეში ქართველი კაცი დასასვენებლად არ წავიდოდა. თუმცა გული მაინც სამშობლოსკენ მოუწევს და თბილისში ახლახან ჩამოსულს საინტერესო იდეებიც გასჩენია. ნოვატორული იდეები საუბრის ბოლოს გაგვიმხილა, მანამდე კი მსჯის ტკბილ-მწარე მოგონებებზე ვესაუბრობდით...



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

სხვათა შორის, სწორედ "ლელოს" ვუმადლი, მსაჯის პროფესია რომ ავირჩიე. ბავშვობაში 35-ე სკოლაში ვანო შუდრასთან ვვარჯიშობდი, მაგრამ მალე მივხვდი, რომ ჩემგან დიდი ფეხბურთელი არ გამოვიდოდა. და აი, სრულიად შემთხვევით ჩამივარდა გაზეთი "ლელო", სადაც განცხადება იყო გამოქვეყნებული იმის თაობაზე, რომ თბილისის ფეხბურთის განყოფილება მსაჯთა შერჩევა-სემინარს ატარებდა.

- ეს როდის იყო?

- წელი, თვე და რიცხვი დღესაც ზუსტად მახსოვს - 1970 წლის 14 თებერვლიდან 28 თებერვლამდე იყო სემინარი, რომელსაც ილო ბოჭორაძე ხელმძღვანელობდა. იქვე იყვნენ კარლო ყრუაშვილი, გიორგი ბაქანიძე - ქართული სამსაჯო სკოლის "მეტრები". ყველაფერმა კარგად ჩაიარა და 16 წლის ასაკში მსაჯი გავხდი. არ დაგიმალავთ, თავიდან ძალიან მიჭირდა, ერთი ხანობა, ვიფიქრე, შევეშვები-მეთქი, მაგრამ ფეხბურთის მიმართ ფანატიკურმა სიყვარულმა გადამაფიქრებინა.

- პირველი ოფიციალური მატჩი თუ გახსოვთ?

- 1972 წელს საქართველოს ჩემპიონატის მატჩის გაძღოლა მომიწია: ჭიათურაში ადგილობრივი "მაღაროელი" თბილისის სკა-ს ხვდებოდა. ოღონდ, რაღაც მიზეზებით მთავარი მსაჯი არ ჩამოვიდა და ასე შედგა მოულოდნელი დებიუტი. ვაღიარებ - ძალიან გამიჭირდა, თანაც ის თამაში სტუმრებმა მოიგეს...

- საკავშირო ასპარეზზე გასვლა ნებისმიერი მსაჯისთვის დიდ მილნევად ითვლებოდა.

- გეთანხმებით, თანაც გარკვეული საფეხურები უნდა გაგევლო. 1978 წლიდან მეორე ლიგაში დამიშვეს გვერდით მსაჯად, მერე პირველ ლიგაში. თანდათან უმაღლეს ლიგასაც "ვეჩვეოდი", როცა ანატოლი მილჩენკოს, მეელუდ მიმინოშვილსა და გურამ გვანცელაძეს ვეხმარებოდი ხოლმე. 80-იანი წლების ბოლოს ავთო კოკაიას, ცხონებულ გურამ გაბისკირიასა და მე საკავშირო კატეგორიის არბიტრის წოდებაც მოგვანიჭეს. მთავარი მსაჯის რანგში უკვე ათეულობით მატჩი დამიგროვდა უმაღლეს ლიგაში, 1989 წელს თასის ნახევარფინალიც ვიმსაჯე, მაგრამ 1990 წელს საქართველოს დამოუკიდებელი ჩემპიონატის ჩატარება გადაწყდა და მთლიანად აქაურ პირველობაზე "გადმოვერთეთ".

- ალბათ, არც ნანობთ - ფიფას არბიტრი ხომ საქართველოდან გახდით.

- 1993 წელს ეს საპატიო წოდება მე, სერგო კვარაცხელიასა და გურამ სეფიაშვილს მოგვენიჭა. თანაც, 40 წლის ვიყავი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი რომ გაგრძელებულიყო, ამას ნამდვილად ვერ მივაღწევდი. იგივეს ვიტყოდი სხვა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკის მსაჯებზეც.

- რატომ?

- იმიტომ, რომ დღეს რუსეთში დიდძალი ფული ჩაიდო ფეხბურთში და იქაურმა ჩემპიონატმა, ალბათ, გადაასწრო კიდეც ყოფილ სსრკ პირველობას. მწვრთნელები, ფეხბურთელები - საიდან აღარ ჩამოჰყავთ და ზღაპრულ პირობებს უქმნიან. მსაჯობის დონეც გაზარდა, მაგრამ ამის მიუხედავად, ტური არ გავა, უცხოეთიდან "ტოპ-კლასის" კატეგორიის არბიტრები არ მოინვიონ.

- ისევ საქართველოს ჩემპიონატს დავუბრუნდეთ. გულახდილად გვითხარით, თქვენთვის სად უფრო იოლი იყო მსაჯობა - საკავშირო ჩემპიონატში თუ საქართველოში?

- საერთოდ, საქართველოში მსაჯობა უფრო რთული იყო, მაგრამ პირველი სამი ჩემპიონატი მაღალი დონის გახლდათ. გეხსომებათ - სტადიონები ყველგან ივსებოდა, წესრიგიც იყო, და, რაც მთავარია, ფეხბურთელებიც მაღალი კლასის გვყავდა. აი, სანამ პირველი ტალღა არ წავიდოდა აქედან, თითქმის ყველა მატჩი საინტერესო იყო - ქეცბაია, ცხადაძე, გურული, თეთრაძე, ამათგან ყველამ დიდი ფეხბურთი ითამაშა.

- მსაჯისთვის სავსე ტრიბუნებს მნიშვნელობა აქვს?

- რა თქმა უნდა, აბა როგორია, როცა თამაშს ასი კაცი ესწრება. ისე კი, რომ იცოდეთ, ყველაზე ძნელი... ბავშვთა გუნდების მატჩის გაძღოლაა. ოღონდ, საქმე განა ბავშვებშია, არამედ მათ მშობლებში, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ფეხბურთი ყველაზე მეტად ესმით და მსაჯიც მხოლოდ მათი შვილების სანინააღმდეგოდ მოქმედებს.

- საქართველოში ყველაზე ძალიან რომელ ქალაქსა თუ რაიონში არ გიყვარდათ მსაჯობა?

- ვაღიარებ - უამრავი სირთულე, სტრესი თუ შიში გადავიტანე ეროვნულ ჩემპიონატში 11 სეზონის განმავლობაში. მაგრამ თუ შენი საქმე გიყვარს, ყველაფერი უნდა დაძლიო. დამიჯერეთ, არ ყოფილა შემთხვევა, რომ მეთქვა - ამა თუ იმ გუნდის თამაშზე ნუ გამიშვებთო. ყველგან მიხაროდა ჩასვლა, მაგრამ განსაკუთრებით მაინც ბათუმში, ფოთსა და ქუთაისში (ცოტა ბოლოსკენ აურიეს). აღარაფერს ვამბობ რუსთავსა და თბილისურ მატჩებზე. თუმცა იყო ერთი რაიონი, საიდანაც ძალიან მწარე მოგონება გამომყვა...

- რომელი?

- ძალიან გთხოვთ, ნუ მათქმევინებთ... იქ მერეც ჩავედი, მაგრამ მაინც ნამტნავად რთული იყო მსაჯობა. ისე კი, თითქმის ხშირ შემთხვევაში გულშემატკივრის პროვოცირებას მასპინძელი გუნდის მწვრთნელი აწყობს ხოლმე. საბედნიეროდ, ქართველ მწვრთნელთა უმრავლესობას ეს არ ეხება.

- მაშინ ასე ვთქვათ - ყველაზე ნაკლები საყვედური რომელი მწვრთნელისგან მიგიღიათ?

- მიხაროდა იმ გუნდების მატჩების გაძღოლა, სადაც შოთა ჭეიშვილი, თემურ მახარაძე, სოსო ფილია, ჯონი ჯანელიძე, ნოდარ აკობია მუშაობდნენ; შესაძლოა, ბევრს გაუკვირდეს და იგივეს ვიტყვი ოთარ გაბელიაზეც. ანდა, ცხონებული გივი ნოდია... ერთხელ, მატჩის მერე ჩვეული მორიდებით მიმანიშნა, რომ ერთ ეპიზოდში, მისი აზრით, შეცდომა დავუშვი. არადა, მართალი იყო, შევცდი, მაგრამ შეუმცდარი მსაჯი გინახავთ?...

- რა თქმა უნდა, არ არსებობს, ოღონდ, მთავარია, ეს შეცდომა შეგნებული არ იყოს...

- მსაჯიც ადამიანია: როგორც ფეხბურთელმა შეიძლება დაუშვას შეცდომა, ისე - არბიტრმაც. ერთხელ, მოსკოვში, "ტორპედოსა" და "სპარტაკის" მატჩისას 3 მეტრიდან ვერ შევნიშნე წესრიგის დარღვევა. შეხვედრის კომისარმა ივან ლუკიანოვმა (რატომღაც ქართველებს არ წყალობდა) თამაშის მერე მითხრა: ისეთი ჯარიმა იყო, თბილისის ფუნიკულიორიდან დაინახავდა კაციო...



- ბატონო თამაზ, საერთოდ, მსაჯებში იდეალად ვინ მიგაჩნიათ?

- არც დავფიქრდები - კარლო ყრუაშვილი! იმის გარდა, რომ საქართველოში ყველა დროის ნომერ პირველი მსაჯია, ჩვენი "ბელადიც" იყო. ძალიან მიხარია, რომ ბაბუის დიდ საქმეს აგრძელებს მისი შვილიშვილი გიორგიც. საერთოდაც, მისასალმებელია, რომ საქართველოში ნიჭიერ მსაჯთა თაობა წამოვიდა - ლევან კვარაცხელია, გიორგი ვადაჭკორია, დავით ხარიტონაშვილი, მალხაზ ბეუქლიშვილი და სხვები.

- უცხოელი მსაჯებიდან?

- ძალიან ვაფასებ ინგლისელ გრემ პოლსა და გერმანელ ჰერბერტ ფანდელს. შეიძლება გაგიკვირდეთ და ჩინებული მსაჯია ვალენტინ ივანოვიც. უბრალოდ, ისეთი ავტორიტეტი არა აქვს, როგორიც, მაგალითად, კოლინას ჰქონდა. როგორ გგონიათ, კოლინას არ ჰქონია სერიოზული შეცდომები? ჰქონდა და რამდენიც გნებავთ, მაგრამ თავისი "ვარცხნილობით" თუ პიარ-კამპანიით უშეცდომო მსაჯის იმიჯი შექმნა.

- საქართველოს ჩემპიონატებისა თუ თასის მატჩებში წითელ-ყვითელ ბარათებს ყველაზე ნაკლებად თქვენ მიმართავდით.

- ფეხბურთელის სუფთა სათამაშო დრო ერთ ტაიმში ისედაც ცოტაა - 26 წუთი. ჰოდა, მსაჯიც უნდა ეცადოს, რომ ხშირი ჩასტვენით თამაში არ გააჩეროს. აი, ინგლისში როგორ არის - ხანდახან ვერც გაიგებ, მოედანზე მსაჯი თუ არის. ანუ თამაშის სადავეები ხელთ რომ იგდო, სულ არ არის აუცილებელი, ნამდაუმუ ვინმე დააჯარიმო.

- ფეხბურთელებიც ვახსენოთ, მით უმეტეს, თქვენ თვალწინ ერთდროულად რამდენიმე თაობამ გაიარა.

- ამ ხნის განმავლობაში კრაგიც ბევრი იყო და ცუდიც; თუმცა ზემოთაც ვთქვი, რომ გულში წყენა არავისზე ჩამიდია. დღესაც, ვინც შემხვდება, ყველას ვესალმები და მოვიკითხავ ხოლმე. ისე კი, თითქმის ყველა გუნდში იყო ფეხბურთელი - ჯენტლმენი, მსაჯი რომ სიმპათიით განეწყობოდა: გოჩა ჟორჟოლიანი, როსტომ თორღაშვილი, გია გიგატაძე, ზურაბ იონანიძე, ბესო ამაშუკელი, თამაზ მეტრეველი, იასონ ბზიკაძე, გიორგი ჩიხრაძე, ბესო ფრიდონაშვილი; ყველას, ალბათ, ვერც გავიხსენებ.

- დაბოლოს, თქვენ ნოვატორულ იდეებზეც.

- ფეხბურთი ვითარდება, წესებიც ნელ-ნელა იცვლება და იხვეწება; მეც მოვიფიქრე და მინდა ფიფაში გავგზავნო ორი სიახლე. ჩემი აზრით, შესაცვლელია სადავო გდება - რამდენჯერ გვინახავს, როცა შეტევაში მყოფ გუნდს მეტოქე ბურთს საკუთარი კარიდან, რაც შეიძლება, შორს უბრუნებს. ტრიბუნებზე ტაშიც ისმის ხოლმე - ბურთი დაუბრუნესო. არადა, შეტევა ხომ ჩაიშალა? ანუ ჩემი აზრით, მსაჯმა ბურთი შემტევ მხარეს უნდა დაუტოვოს და ადგილიდან ჯარიმა დანიშნოს.

- საკამათოა, თუმცა - საინტერესო. მეორე ნოვაცია?

- წეღანაც ვახსენე, რომ მსაჯმა თამაში ხშირად არ უნდა გააჩეროს. ჩემი აზრით, როცა კუთხურზე ან აუტზე ბურთი ისე გადავა, საკამათო რომ არ არის, მსაჯს შეეძლება ყოველივე ეს სასტვენის გარეშე, ანუ ხელის მოძრაობით, დაფიქსიროს. იგივე შემიძლია ვთქვა გოლის შემთხვევაშიც - როცა აშკარა გოლი გავა, რაღა საჭიროა სასტვენის მიცემა? ისედაც ყველამ ყველაფერი დაინახა, თანაც ამ ჩასტვენით ხომ დაზარალებულ გუნდს უფრო ვაღიზიანებთ?..

გია ტუხაშვილი

ვაჟა თარხნიშვილი

ლეგიონერები

მოლდოვა სამი ქართველით იწყებს

ოთხშაბათს მოლდოვის მე-17 ჩემპიონატი დაიწყო. ტურნირი ნლეულს განსხვავებული ფორმატით გაიმართება. 12 გუნდი ჯერ ჯგუფურ ეტაპს იწყებს, რასაც ფლეი ოფები მოჰყვება. მოლდოვაში ქართველ ლეგიონერთა რიცხვი სამამდე შემცირდა: კვლავ "შერიფის" კაპიტანია **ვაჟა თარხნიშვილი**, "ზიმბრუს" მცველია **მამუკა ლომიძე**, "დაჩიაში" კი **ლადო ახალაია** ირიცხება, თუმცა ითამაშებს თუ არა იგი ახალ სეზონში ამ გუნდის რიგებში, ჯერ უცნობია.

წინა ჩემპიონატი ტირასპოლის "შერიფმა" 92 ქულით მოიგო, ახალი სეზონიც ვაჟა თარხნიშვილის საკაპიტნომ მოგებით დაიწყო, "შერიფმა" შინ ბელცის "ოლიმპია" დაამარცხა - 2:0. თარხნიშვილმა დაცვის ცენტრში შეუცვლელად ითამაშა. ურნალისტებმა აღნიშნეს, რომ ვაჟა ძველებურად საიმედო იყო. მან ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მომავალ მეტოქეზე შემდეგი განაცხადა: *"ანდორული კლუბი "რეინჯერსი" ჩვენთვის გამოცანაა, თუმცა ვალდებულნი ვართ, პირველი ეტაპი უპრობლემოდ გადავლახოთ"*.

"შერიფის" კონკურენტ კიშინიოვის "ზიმბრუს" პირველივე ტურში დაუცდა ფეხი, შინ "ნისტრუს" დაუზავდა - 1:1. მასპინძელთა რიგებში შეუცვლელად ითამაშა ქართველმა მცველმა **მამუკა ლომიძემ**, რომელსაც მეორე ტაიმში გუნდისთვის გამარჯვების მოტანის შესანიშნავი შანსი მიეცა - მამუკამ სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ ბურთი ოდნავ ასცდა მიზანს.

"ტირასპოლმა" სტუმრად 1:0 მოუგო დებიუტანტ ცსკა-ს. ამ გუნდის 22-კაციან განაცხადში აღარ ირიცხება 20 წლის **ვალტერ ხორგუაშვილი**, რომელიც ამჟამად სამშობლოშია. "დაჩია" ინტერტოტოს თასის მეორე ეტაპზე თამაშობს, ამიტომ მას პირველ ტურში არ უთამაშია. შეგახსენებთ, რომ ინტერტოტოს თასის პირველ ეტაპზე კიშინოვურმა კლუბმა გათამაშებას "ბაქი" გამოთიშა, ახალაია კლუბს ჯერ არ დახმარებია.

ნიკოლოზ ნეფარიძე

რომან აბრამოვიჩი და ადრიანო გალიანი

მოსალოდნელი ტრანსფერები

მილანი და შევა: მოლაპარაკებები დაწყებულია?

აბრამოვიჩი მთელ პასუხისმგებლობას მოურინიოს აკისრებს

"მილანი" ჯერაც დიდი ფეხბურთელის მოლოდინშია. ის აუცილებლად მოვა, მოთმინებაა საჭიროო, - განაცხადა ცოტა ხნის წინათ **სილვიო ბერლუსკონიმ**. მაგრამ ვინ არის ეს ფეხბურთელი? პრეზიდენტი ინტრიგას ჯერ არ კლავს, თუმცა, ვგონებთ, ბოლომდე არც ის უნდა იყოს დარწმუნებული, მართლა მიიღებს თუ არა **კარლო ანჩელოტი** რომელიმე სუპერმოთამაშეს.

აი, გუშინ მორიგი სპეკულაცია აგორდა **ანდრეი შევჩენკოსთან** დაკავშირებით. დავიწყოთ იმ ინფორმაციით, რომელიც ინგლისურმა "დეილი სტარმა" გაავრცელა. გაზეთს მოჰყავს შევჩენკოს აგენტის **სტივენ კურნოვის** სიტყვები, რომელშიც ეს უკანასკნელი კატეგორიულად უარყოფს მისი კლიენტის "მილანში" დაბრუნების შესაძლებლობას:

"ყველამ იცის, რომ ამაზე ხმები ისევ მუსირებს, მაგრამ მსურს, გარკვევით და ყველას გასაგონად განვაცხადო, რომ ანდრეი "ჩელსიში" რჩება. დიახ, მას არ ჰქონდა კარგი სეზონი, მაგრამ ისეთი დიდი ფეხბურთელიც კი, როგორიც შევჩენკოა, მოვალეა, დაამტკიცოს თავისი სტატუსი და ამას ის მომავალ სეზონში აპირებს. ისიც ვიცი, რომ "ჩელსის" ფანებს მისი დიდი იმედი აქვთ. ამდენად, არანაირი "მილანი". ანდრეიმ თავისი პრიორიტეტი უკვე განსაზღვრა".

...აქვთ თუ არა იმედი "ჩელსის" ფანებს, ეს ცალკე საკითხია, მაგრამ მთავარი ხომ ისაა, რას ფიქრობს **ჟოზე მოურინიო**. ცნობილია, რომ **რომან აბრამოვიჩისთვის** მას შევჩენკოს ყიდვა არ უთხოვია, თუმცა იძულებული გახდა, ბოსის ნებას დაჰყოლოდა. შევამ ვერ გაამართლა, მან იმაზე ბევრად ცუდად ითამაშა, ვიდრე მოსალოდნელი შეიძლებოდა ყოფილიყო. ადაპტაციის პერიოდი უსაშველოდ გაინელა. იტალიური და ინგლისური ფეხბურთი ხომ ორი, სრულიად განსხვავებული სამყაროა. მერე, შევას უთანხმოება ჰქონდა მოურინიოსთან და, ზოგიერთების მტკიცებით, თანაგუნდელებთანაც. ამ მიზეზითაც, მას ხშირად უწევდა სკამზე ჯდომა...

მაგრამ მეორე მხარესაა ბერლუსკონი, რომელმაც შევჩენკოს აბარგება დღემდე ვერ აიტანა და ნაცვლად იმისა, რომ "განდგომილზე" ხელი ჩაექნია, აქტიურად მიჰყო ხელი მისი დაბრუნების მცდელობას. როგორც იცით, სილვიომ შევა და მისი მეუღლე ათენის ფინალზე დაპატიჟა. როგორც ამბობენ, შესაძლო დაბრუნების ზონდირება ბერლუსკონიმ სწორედ ათენში გააკეთა, თუმცა შევჩენკოსგან ვერ მიიღო ის პასუხი, რაც საქმის დიდ ნაწილს იქვე მოაგვარებდა. მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ბრძოლა დასრულებული იყო...

გუშინ, ესპანურმა გაზეთმა "სპორტმა" ამ საქმეზე ახალი ინფორმაციები გაავრცელა. "ჩელსის" რომელილაც მაღალჩინოსანზე დაყრდნობით, გაზეთი აბრამოვიჩსა და მოურინიოს შორის სატელეფონო საუბარზე გვამცნობს. მწვრთნელს პატრონისთვის კატეგორიულად დაუსვამს საკითხი - შევჩენკო არ მჭირდებაო! აბრამოვიჩის პასუხი კი ასეთი ყოფილა - ამ საქმეში ვერ ჩავერევი, როგორც გუნდისთვის იქნება საჭირო, ისე გადაწყდეს, ოღონდ იცოდე, მთელი პასუხისმგებლობა შენ დაგეკისრებაო...

იგივე გაზეთი გვარწმუნებს, რომ "ჩელსისა" და "მილანს" შორის მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია. მთავარი სირთულეც აქაა. შევჩენკოს გულითაც რომ სურდეს "მილანში" დაბრუნება, თუ "როსონერი" ლონდონურ მხარეს მოთხოვნილ თანხას არ გადაუხდის, არაფერიც არ გამოვა. ეს თანხა კი 35 მილიონი ევროა. რა თქმა უნდა, "ჩელსიში" მშვენივრად უწყიან, რომ ასეთ შევჩენკოს ამ ფულად ვერ გაყიდიან. ერთი წლის წინათ, "არისტოკრატებმა" მასში 31 მილიონი ევრო გადაიხადეს. ახლა კი "მილანი" მხოლოდ 25 მილიონ ევროს იძლევა. დარჩენილი თანხის ფასად, იტალიური მხარე, შეიძლება, გარკვეულ დათმობაზე წავიდეს. კერძოდ, უარი თქვას 17 წლის ბრაზილიელის **ალეშანდრე პატოს** შეძენაზე, რაც "ჩელსის" საქმეს საგრძნობლად გაუადვილებს...

"სპორტის" მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში უცნაურია ისიც, თითქოს შევჩენკოს "მილანში" ნაკლებ ხელფასზე გადასვლაც აწყობს. მაშინ, როცა "სტემფორდ ბრიჯზე" მისი წლიური ანაზღაურება 8.5 მილიონი ევროა, თანახმა იქნება, "როსონერიში" სამწლიანი (კიდევ ერთი წელიწადი სათვალავში აქვთ) კონტრაქტის სანაცვლოდ, სეზონურად 5 მილიონ ევროს დასჯერდეს.

დაუსრულებელი საგა

გადასარევი ამბავი: კივუ და რეალი ჩაშლის პირას!

კრისტიან კივუს ტრანსფერთან დაკავშირებული გაუგებრობა, სკანდალურ ხასიათს იღებს. თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ რუმინელი მცველი "რეალში" გადავიდოდა. "რომა" სამეფო კლუბს 18 მილიონ ევროზე მოურიგდა. მოლაპარაკებებს **პრედრაგ მიატოვიჩი** აწარმოებდა. ის ორჯერ შეხვდა "ჯალოროსის" გენერალურ მენეჯერ **როზელა სენსისა** და სპორტულ დირექტორ **დანიელე პრადეს**. მხარეებმა პრესისთვის გაკეთებულ კომენტარში დაადასტურეს, რომ შეთანხმება მიღწეული იყო და რომ ტრანსფერის სრულყოფამდე რჩებოდა მოლაპარაკებები უშუალოდ "რეალსა" და ფეხბურთელს შორის...

...ილაპარაკეს კიდეც, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მადრიდელები კივუს იმაზე გაცილებით ნაკლებ ხელფასს სთავაზობდნენ, ვიდრე "ინტერი" ჰპირდებოდა. "რეალის" პირობა 3.5 მილიონი გირვანქა იყო, "ნერაძურიმ" კი რუმინელს მთელი 2 მილიონით მეტი აღუთქვა. აი, რას ამბობს კივუს აგენტი **ვიქტორ ბეკალი**:

"მათი წინადადება ჩემი კლიენტისთვის კატეგორიულად მიუღებელია. ის ბევრად ნაკლებია "ინტერის" მიერ შემოთავაზებულ ანაზღაურებაზე. ასე რომ, კივუ ჯერჯერობით, "რომაში" რჩება, ყოველ შემთხვევაში, მანამდე, ვიდრე "რეალი" პირობებს არ გააუმჯობესებს. უნდა განიმარტოს ისიც, რომ თუ კივუ მომავალ წელს "რომას" თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებს, ახალმა კლუბმა ხელფასის სახით 7-8 მილიონი ევრო უნდა გადაუხადოს. ეს არის სწორედ მადრიდელთა პრობლემა".

კრისტიან კივუ

ბეკალი განმარტავს "ინტერთან" დაკავშირებულ სიტუაციასაც. ამ შემთხვევაში, ყველაფერი პირიქით ყოფილა: მილანური კლუბი მზად იყო, კივუს მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა, მაგრამ თავად "ინტერმა" და "რომამ" ვერ გამონახეს საერთო ენა: *"ახლა ბურთს მადრიდელები ფლობენ. ჩვენ ველოდებით მათ ზარს. თუ ახალი წინადადება ჩემს კლიენტს არ დააკმაყოფილებს, მისთვის "რომაში" დარჩენა პრობლემა არ იქნება".*

ალეშანდრე პატო

ახალი ვარსკვლავი

დიდი ბრძოლა ბრაზილიელი ვუნდერკინდისთვის

ანჩელოტი პატოს ითხოვს, ფული ჩელსიმაც გაამზადა. რას აპირებენ ინტერი და რეალი?

"ახალ კაკად" წოდებული ბრაზილიელი ვუნდერკინდი **ალეშანდრე პატო** საყოველთაო ყურადღების ცენტრშია. 17 წლის ფეხბურთელზე გამალებული ნადირობაა გაჩაღებული. ამომავალ ვარსკვლავზე პრეტენზიას ერთბაშად ოთხი გრანდი აცხადებს - "მილანი", "ინტერი", "რეალი" და "ჩელსი". უცნაურია, რომ სამიოდ დღის წინათ, **ადრიანო გალიანიმ** პრესასთან საუბარში პატოზე, ფაქტობრივად, უარი თქვა, აქაოდა, **კარლო ანჩელოტის** ველაპარაკე და მაგ ბიჭის ყიდვა ამ ეტაპზე მიზანშეუწონლად ჩავთვალეთო. და აი, გუშინ კარლეტო თავად მოუყვა მედიას იმ შეთანხმებებზე, რაც კანადაში ნახა. კანადაში კი 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპი მიმდინარეობს და "მილანის" მწვრთნელიც იქ ბრძანდება. ანჩელოტიმ პატო ბრაზილია-სამხ. კორეის მატჩში (3:2) ნახა და აღფრთოვანებულიც დარჩა.

"ჩინებული ფეხბურთელია, - უთხრა კარლომ "გაძეტა დელო სპორტს", - მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ახალგაზრდაა, შეგიძლიათ ნახოთ და დარწმუნდეთ, რომ ფენომენალური შესაძლებლობების პატრონია. პატოს ჩამოყალიბებული ფეხბურთელის მონაცემები აქვს".

თუმცა ტრანსფერი, ჯერჯერობით, ვერ მოხერხდება. საქმე ისაა, რომ ფიფას წესების მიხედვით, 18 წლამდე ფეხბურთელს პროფესიული კონტრაქტის გაფორმება ეკრძალება. პატოს კი ეს შეზღუდვა 2 სექტემბერს ეხსნება, ანუ მაშინ, როცა სატრანსფერო ფანჯარა უკვე დახურული იქნება.

სხვა ხელისშემშლელი პირობა კი უკვე ნახსენები კონკურენციაა. პატოს აგენტი **ჟილმარ ველოზუ** ადასტურებს, რომ "მილანის" გარდა, წინადადებები მიიღო "ინტერისგან", "ჩელსისა" და ბოლოს "რეალისგან". ეს უკანასკნელი მაშინღა ჩაერთო ბრძოლაში, როცა გაირკვა, რომ **კაკას** ვერ ყიდულობს. ხოლო თუ პატო "ახალი კაკაა", სამეფო კლუბს, ალბათ, ულირს გარკვეულ რისკზე წასვლა. ვუნდერკინდი "ინტერნასიონალის" ღირსებას იცავს. მისი ფასი 10 მილიონი გირვანქაა. *"ჩვენ უკვე საკმარისად გვაქვს წინადადებები. ცოტა ხანში, დავსხდებით და ყველაფერს გავაანალიზებთ. სწორედ ამის შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას",* - აცხადებს სეუ ველოზუ.

ანჩელოტის იმედი აქვს, რომ პატო "მილანზე" გააკეთებს არჩევანს, რაკი იქ მისი თანამემამულეები, **კაკა** და **რონალდო** თამაშობენ. და არცაა გამორიცხული, ახალბედა ტალანტმა წმინდა ემოციურ ნიადაგზე მართლაც გააკეთოს ასეთი არჩევანი. ჩავთვალოთ, რომ ეს "მილანის" კოზირია. კოზირია ისიც, რომ ბრიტანეთში არაევროკავშირელისთვის სამუშაო ვიზის მიღება ფრიად საძნელო საქმეა. ასე რომ, ანჩელოტის "ჩელსის" დამარცხების იმედიც აქვს. ინგლისურ პერსპექტივაზე ველოზუ ასეთ კომენტარს აკეთებს:

"როგორც იცით, "მანჩესტერ იუნაიტედში" ანდერსონი ჩაირიცხა, მაგრამ მას არ შექმნია სამუშაო ვიზის პრობლემა, იმიტომ, რომ მის დიდებულ მონაცემებსა და ნიჭზე ყველამ ყველაფერი იცოდა. მე არ ვიცი, როგორი შეხედულება აქვთ ინგლისელებს პატოზე. ამიტომ, სიტუაციის შეფასებისგან თავს შევიკავებ".

მაგრამ, როგორც ჩანს, "ჩელსიც" ოპტიმისტურადაა განწყობილი. "ინტერნასიონალმა" შეთავაზება "სტემფორდ ბრიჯიდანაც" მიიღო. გაირკვა, რომ ლონდონელები ფეხბურთელში გაცილებით მეტს იხდიან, ვიდრე კლუბი ითხოვს. "დეილი ტელეგრაფის" ინფორმაციით, ეს თანხა 13.5 მილიონი გირვანქაა. იგივე გამოცემა ამტკიცებს, რომ მომავალ კვირაში ფეხბურთელის აგენტს "ჩელსის" ალმასრულებელი დირექტორი **პიტერ კენიონი** უმასპინძლებს. მაშ, დავველოდოთ მომავალ კვირას...

ტრანსფერი

ოლივეირა სარაგოსაში

რიკარდო ოლივეირას "მილანში" მომავალი რომ აღარ ჰქონდა, ადრევე იყო ცნობილი. **კაკას, ფილიპო ინძაგის, რონალდოსა** და **ალბერტო ჟილარდინოს** კომპანიაში ბრაზილიელმა ფორვარდმა კონკურენციას ვერ გაუძლო. არადა, ოლივეირა დიდი ზარ-ზეიმით იყიდეს. ფეხბურთელმა გასული ჩემპიონატის პირველივე ტურში გამოიჩინა თავი, როცა "ლაციოს" გოლი გაუტანა. მაგრამ მერე მისი მილანური ყოფა დაღმავალი გზით წავიდა, განსაკუთრებით, სერია A-ს მეორე ნახევარში, როცა "როსონერიმ" **რონალდო** იყიდა. გავიხსენოთ, რომ ოლივეირა "ბეტისიდან" 15 მილიონ გირვანქად იყიდეს. სეგილიურ კლუბში მას 46 მატჩში 27 გოლი ჰქონდა გატანილი. "მილანში" კი ეს მხოლოდ ხუთჯერ მოახერხა: 3 გოლი ჩემპიონატში, ორიც თასზე...



რიკარდო ოლივეირა

მიუხედავად ამ ჩავარდნისა, 27 წლის ოლივეირას მაინც ჰქონდა წინადადებები. თავიდან მან "ფენერბაჰჩეში" გადასვლა იუარა. მას იქ რეკომენდაციას თვით **რობერტო კარლოსი** უწევდა. მერე "ვილიარეალი" დაუკავშირდა, მაგრამ ეს შეთავაზებაც უარყო. ბოლოს კი იყო "სარაგოსა", რომელმაც ოლივეირა კონტრაქტზე დაითანხმა. გუშინ, ეს ინფორმაცია "მარკამ" გაავრცელა, მოგვიანებით კი არაგონული კლუბის ხელმძღვანელობამაც დაადასტურა. ჯერჯერობით, ტრანსფერის ფინანსურ პირობებზე მონაცემები არ გავრცელებულა.

ტრანსფერი

ტევესი მანჩესტერში

20 მილიონი გირვანქა და კონტრაქტი კოპას შემდეგ

კარლოს ტევესი "მანჩესტერ იუნაიტედში" გადადის. ამ ინფორმაციას ინგლისური სააგენტოები ავრცელებენ. ამჟამად არგენტინელი თავდამსხმელი ნაკრებთან ერთად კოპა ამერიკაზე იმყოფება. "სანის" ცნობით, ის ტურნირის დასრულებისთანავე ინგლისში დაბრუნდება და კონტრაქტზე მოაწერს ხელს. მისი ემისრები მანჩესტერში იმყოფებიან და ინტენსიურ მოლაპარაკებებს მართავენ. შეთანხმება, ფაქტობრივად, მიღწეულია, თუმცა დეტალებს არ ახმაურებენ. ტევესს "ვესტ ჰემთან" კიდევ სამწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. კარლოსის სატრანსფერო უფლებებს კომპანია "მედია სპორტს ინვესტმენტი" ფლობს, მაგრამ ფეხბურთელი რეგისტრირებულია, როგორც "ჩაქუჩების" საკუთრება. "ვესტ ჰემს", რა თქმა უნდა, შეუძლია, კომპენსაცია მოითხოვოს. ასეთ შემთხვევაში გარიგება უკიდურესად გართულდება. მიმომხილველთა აზრით, ლონდონური კლუბი ფეხბურთელს თავისუფალი აგენტის სტატუსს მიანიჭებს. საამისოდ ორი მიზეზი არსებობს. პირველი: მას კარლოსში ერთი პენსიც არ დაუხარჯავს. და მეორე: "ვესტ ჰემის" წინა ხელმძღვანელობამ კონტრაქტი კანონმდებლობის დარღვევით გააფორმა.

მოგეხსენებათ, ინგლისურ კლუბებს ეკრძალებათ იმ ფეხბურთელებთან ურთიერთობა, რომელთა სატრანსფერო უფლებებს მესამე მხარე ფლობს. ტევესის შემთხვევაში, მესამე მხარე **კია ჯურაბჩიანის** MSI-ია. გასულ ზაფხულს ეს კომპანია "ვესტ ჰემის" შეძენას ცდილობდა და ავანსის სახით, 31 აგვისტოს "აპტონ პარკზე" ტევესი და მისი თანამემამულე **ხავიერ მასკერანო** გადაიყვანა. საბოლოოდ კლუბს სხვა მყიდველი გამოუჩნდა. არგენტინული ტრანსფერები კი ჰაერში დარჩა გამოკიდებული. იანვარში ხავიერმა "ლივერპულს" მიაშურა. ტევესი "ვესტ ჰემში" დარჩა. მის გამო ლონდონელები ხუთი მილიონი გირვანქით დააჯარიმეს. "ვესტ ჰემმა" MSI-სთან კონტრაქტი გაწყვიტა, ოღონდ ფორმალურად. ფეხბურთელის სანაცვლოდ ფულის მოთხოვნა მას, პირველ რიგში, საფეხბურთო ასოციაციასთან შეუქმნის პრობლემებს. "ჩაქუჩებმა" კარლოსი უნდა დაივიწყონ. MSI კი ტევესში 20 მილიონ გირვანქას ითხოვს და როგორც ჩანს, არცთუ უსაფუძვლოდ. "იუნაიტედი" გარიგებისათვის მზადაა.

არგენტინელი თავდამსხმელი "ეშმაკების" მეოთხე ახალწვეული გახდება **ოუენ ჰარგრივსის, ნანისა** და **ანდერსონის** შემდეგ. ჟურნალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ მას უმალ ძირითადში დააყენებენ. ექსპერტთა აზრით, ახალ სეზონში "იუნაიტედს" სამი შეუცვლელი ფეხბურთელი ეყოლება: ტევესი, **კრისტიანო რონალდო** და **უეინ რუნი**. ნანი და ანდერსონი გუნდს შეეჩვევიან და ნელ-ნელა ჩაანაცვლებენ **რაიან გიგზსა** და **პოლ სქოულზს**. მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

კარლოს ტევესი, შეიძლება, უეინ რუნის თანაგუნდელი გახდეს

ჯონ ტერი და ფრენკ ლემპარდი

ჯონ ტერისა და **ფრენკ ლემპარდს** "ჩელსიდან" აბარგების ნებას არ დართავენ. ეს განცხადება "არისტოკრატების" აღმასრულებელმა დირექტორმა **პიტერ კენიონმა** გუშინ გააკეთა. ვარსკვლავებთან ახალი კონტრაქტის პირობებზე შეთანხმება ვერ ხერხდება. ამის მიუხედავად, ისინი გუნდში დარჩებიან და შოლაპარაკებებს გააგრძელებენ. ტერისა და ლემპარდს ხელშეკრულებებში ორ-ორი წელი აქვთ დარჩენილი. ახალი სატრანსფერო კანონმდებლობა მათ ამ კონტრაქტების გამოსყიდვის უფლებას ანიჭებს. ფეხბურთელთა შეძენის სურვილი ოფიციალურად არავის გამოუთქვამს. სპეკულაციების თანახმად, ლემპარდი "ბარსელონასა" და "იუვენტუსს" სურთ. "სანის" ცნობით, 26 წლის ტერი ცხრაწლიან (!) ხელშეკრულებას ითხოვს. უფრო მეტიც, კარიერის დასრულების შემდეგ მას გუნდის მწვრთნელობა სწადია და ცდილობს, შესაბამისი საგარანტიო პუნქტიც ახალ კონტრაქტში ჩაიწეროს. "ჩელსი" მზადაა, ტერის ხუთწლიანი ხელშეკრულება გაუფორმოს, თანაც ყოველგვარი სამწვრთნელო გარანტიების გარეშე.

ჩელსი

ტერის და ლემპარდს არ უშვებენ

ალვეშს შიმბონდა შეცვლის, აბრამოვიჩი ძვირ ტრანსფერებზე უარს არ არის...

"არისტოკრატებზე" საუბარს მორიგი სატრანსფერო ინფორმაციით გავაგრძელებთ. სევილიელი **დანიელ ალვეში** "სტემფორდ ბრიჯზე" არ ითამაშებს. მის ნაცვლად ლონდონელები **პასკალ შიმბონდას** იყიდიან. ფრანგი მცველი "ტოტენჰემში" თამაშობს. "სანის" ცნობით, "ჩელსი" თანაქალაქელებს 12 მილიონ გირვანქას შესთავაზებს. შიმბონდა 28 წლისაა. ის ერთი წლის წინ "ვიგანიდან" 4.5 მილიონად შეიძინეს. ერთი თვის წინ "მამლებმა" "ჩელსის" 10-მილიონიანი შეთავაზება უარყვეს. გაზრდილ კომპენსაციასთან დაკავშირებით მათ კომენტარი არ გაუკეთებიათ. პასკალს დაცვის ცენტრშიც შეუძლია თამაში და მარჯვენა ფლანგზეც. აქვე გეტყვით, რომ გრძელდება სპეკულაციები "ჩელსიში" **ფლორან მალუდას** ტრანსფერის შესახებ. ფრანგმა ნახევარმცველმა "ლიონში" დაბრუნებაზე უარი თქვა. ის ლონდონში გაყიდვას ითხოვს. "არისტოკრატები" მის სანაცვლოდ 12.5 მილიონ გირვანქას ამზადებენ.

ხმები, თითქოს **რომან აბრამოვიჩი** ტრანსფერებში ფულის დახარჯვას აღარ აპირებდა, შეიძლება, უსაფუძვლო აღმოჩნდეს. შიმბონდასა და მალუდაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ბრაზილიურ "ინტერნასიონალს" **ალემანდრე პატოს** სანაცვლოდ ყველაზე მეტი თანხა "არისტოკრატებმა" შესთავაზეს. ისინი 18 წლის თავდამსხმელში 10 მილიონ გირვანქას იხდიან. მირორის ცნობით, ფეხბურთელის აგენტ **ჟილმარ ველოს** კონტრაქტის გასაფორმებლად ლონდონში ელიან.

მარსელო და სისინიო

და კიდევ, **პრედრაგ მიატოვიჩს** მარჯვენა ხელი დაუნიშნეს. სანტანდერის "რასინგის" ყოფილი მწვრთნელი **მიგელ ანხელ პორტუგალი** "რეალის" ტექნიკური მდივანი გახდა. მიმომხილველთა ვარაუდით, პორტუგალიც დაქირავება იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტო სპორტული დირექტორის მუშაობით უკმაყოფილოა. მიატოვიჩის დათხოვნას ნებისმიერ წუთს უნდა ველოდოთო, წერს "ასი". სენიორ მიგელ ანხელი "რეალის" ყოფილი ფეხბურთელი და მისი სარეზერვო გუნდის "კასტილიის" ყოფილი დამრიგებელია. მადრიდელებმა მას ოთხწლიანი ხელშეკრულება გაუფორმეს.

ბიანკი ტორესის ნაცვლად?

"ატლეტიკო" თავდამსხმელს ეძებს. მან რეჯინელ **როლანდო ბიანკის** დაადგა თვალი. ბიანკიმ გასული სეზონი 18 გოლით დაასრულა და "ნაპოლისა" და "იუვენტუსის" ყურადღებაც მიიპყრო. გავრცელდა ცნობა, თითქოს ფეხბურთელი ნეაპოლში აპირებდა გამგზავრებას, მაგრამ ბიანკიმ ინფორმაცია კატეგორიულად უარყო. რაც შეეხება "ატლეტიკოს", ესპანელები 13 მილიონ ევროს ამზადებენ, პირადად ფეხბურთელს კი ოთხწლიან კონტრაქტსა და წლიურად 2 მილიონ ევროს შესთავაზებენ. კალაბრიელები "ატლეტიკოს" წინადადებას სერიოზულად იხილავენ. აქვე შეგახსენებთ, რომ თავის დროზე მადრიდელთა შემადგენლობაში საუცხოო სეზონი ჩაატარა კიდევ ერთმა იტალიელთა ფორვარდმა **კრისტიან ვიერის**.

კოულმენი: სამი წლით სან სებასტიანში

კრის კოულმენმა "რეალ სოსიედადთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 37 წლის სპეციალისტი ბასკების პრიმერა დივიზიონში დაბრუნებას შეეცდება. სანსებასტიანური კლუბი უმაღლეს ლიგას ბოლო 40 წელიწადში პირველად გამოეთხოვა. კატასტროფა პროგნოზირებადი იყო, რადგან გუნდმა საშობაო არდადეგებამდე ერთი თამაშის მოგებაც კი ვერ მოახერხა. კოულმენის ბოლო სამუშაო "ფულჰემი" იყო, საიდანაც აპრილში დაითხოვეს. მისტერ კრისის "სოსიედადში" დანიშვნა უელსის ნაკრების მთავარი მწვრთნელის **ჯონ ტოშაკი** რეკომენდაცია გახლდათ. ტოშაკი ბასკების ყოფილი დამრიგებელია. იმასაც შეგახსენებთ, რომ კოულმენს "მანჩესტერ სიტიში", "კრისტალ პალასში", "ბლექბერნში", "ფულჰემსა" და რა თქმა უნდა, უელსის ნაკრებში (30 მატჩი) უთამაშია.

მიკოლი პალერმოელია, დი მიკელე ტურინელი

ფაბრიციო მიკოლი "პალერმოში" გადავიდა. კონტრაქტის მიხედვით, "იუვენტუსის" ყოფილი მოთამაშე სიცილიაში სამ სეზონს გაატარებს. სიმბოლურია, რომ **მაურიციო ძამპარინიმ** მასში 3 მილიონი გირვანქა გადაიხადა და ამ ფულს 3 წლის განმავლობაში გაისტუმრებს...

მიკოლი "პალერმოში" **დავიდ დი მიკელეს** შეცვლის. ეს უკანასკნელი, რომელსაც ტოტალიზატორით უკანონო სარგებლობა ბრალდება და ამისთვის მკაცრი სასჯელიც (3 თვიდან 3 წლამდე) შეიძლება გამოუტანონ, გუშინ "ტორინოს" მოთამაშე გახდა.

ტოტენჰემის მორიგი შენაძენი

"ტოტენჰემი" შემადგენლობის გაძლიერებას განაგრძობს. "მამლების" მორიგი შენაძენია "ოსერისა" და საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების მცველი **იუნეს კაბული**. მის სანაცვლოდ 8 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. **მარტინ იოლის** გუნდმა იქამდე განხორციელებულ ორ ტრანსფერში 22 მილიონი გირვანქა დახარჯა. ამ ფულით ჩარლტონელი თავდამსხმელი **დარენ ბენტი** და საუთჰემპტონელი მარცხენა მცველი **გარეთ ბეილი** შეიძინეს. "ტოტენჰემი" ახალ სეზონში ოთხეულში მოსახვედრად აპირებს ბრძოლას.

რეალი

ბრაზილიელები ტრანსფერზე

ხეტაფესთან მოლაპარაკებები გრძელდება

"რეალმა" სამი ბრაზილიელი ლეგიონერი გასაყიდად გამზადა. **ჟულიო ბაპტიშტას, სისინიოსა** და **მარსელოს** ახალი სამსახურების მოძებნა მოუწევთ. "დიარიო სპორტის" ცნობით, ეს ფეხბურთელები ახალი სეზონისათვის მზადებას სამეფო კლუბთან ერთად დაიწყებენ, მაგრამ ამავე დროს, ინტენსიურად მოუწევთ ტრანსფერებზე მუშაობა. დაინტერესებული კლუბების ვინაობა უცნობია.

იმავე გაზეთში ვკითხულობთ, რომ დღეს და ხვალ "ხეტაფესთან" გადამწყვეტი მოლაპარაკებები გაიმართება. "რეალი" **ბერნდ შუსტერის** გამოსყიდვას ცდილობს. ხეტაფელთა პრეზიდენტ **ანხელ ტორესს** კი სოლიდური კომპენსაციის მიღება სურს. მისი მოთხოვნა სამართლიანია. გერმანელ მწვრთნელს კონტრაქტში ერთი წელი აქვს დარჩენილი. მადრიდელთა პრეზიდენტმა **რამონ კალდერონმა** თქვა, რომ ახალ დამრიგებელს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიქირავებს, თუ ის თავისუფალი აგენტი იქნება. მაგრამ შუსტერის შემთხვევაში სენიორ კალდერონს დათმობაზე წასვლა არ ასცდება.

მარსელო და სისინიო

ვესტ ჰემი

ბელამი და აპია აპტონ პარკზე?

"ვესტ ჰემს" **კრეიგ ბელამის** შეძენა სურს. ის "ლივერპულს" 11 მილიონ გირვანქას შესთავაზებს. თავდაპირველად, უელსელ თავდამსხმელს 12 მილიონად აფასებდნენ. იმის შიშით, რომ თანხა მყიდველებს დააფრთხობდა, მერსისაიდელებმა ბელამი 6 მილიონამდე გააიაფეს. "ჩაქუჩების" წინადადება ისეთი სარფიანია, რომ წესით, მოლაპარაკებები უმოკლეს დროში უნდა დამთავრდეს. "ვესტ ჰემი" ჩარლტონელი ფორვარდის, **დარენ ბენტის** ტრანსფერზე მუშაობდა. ეს უკანასკნელი "ტოტენჰემს" დარჩა. ბენტის შემცვლელად ბელამია შეგულებული.

ლონდონელებმა "ევერტონის" ყოფილი მეკარე **რიჩარდ რაიტი** აიყვანეს. 29 წლის გოლკიპერმა "აპტონ პარკს" თავისუფალი აგენტის სტატუსით მიაშურა. მას "იფსვიჩსა" და "არსენალში" უთამაშია. რაიტი "ვესტ ჰემის" მესამე შენაძენია ნიუკასლელი **სკოტ პარკერისა** და ბორდოელი **ჟულიენ ფობერის** შემდეგ. და კიდევ, "ჩაქუჩები" "ფენერბაჰჩეს" ნახევარმცველ **სტეფან აპიას** ეპატიჟებიან. განლეთა 26 წლის კაპიტანს თურქული კონტრაქტი ორ წელიწადში ეწურება. მას "შალკე" და "სელტიკი" აკვირდებიან. "იუვენტუსის" ყოფილი ფეხბურთელი 3 მილიონი გირვანქა ღირს.

კოპა ამერიკა 2007. ჯგუფური ტურნირი. III ტური

ბრაზილიას რომ რობინიო არ ჰყავდეს...

B ჯგუფი

ბრაზილია-ეკვადორი 1:0

ბრაზილია: დონი, დანიელ ალვეში (81. ალექს სილვა), ფილბერტო (57. კლებერი), ალექსი, ფუანი, ფილბერტო სილვა, ჯოსუე, მინეირო, ჟულიო ბაპტისტა (73. დიეგო), რობინიო, ვაგნერ ლავი.

ეკვადორი: ელისაგა, ბაგა, ესპინოსა, გუაგუა, რეასკო, აიოვი (76. საისედო), კასტილიო, ედისონ მენდესი, ვალენსია, როხელიო ბენჩტესი, ბორხა (61. ტენორიო).

გოლი: 1:0 რობინიო (54-პენ)

გაფრთხილება: 3-1; **დარტყმა**: 12(8)-8(3); **ჯარიმა**: 9-11; **კუთხური**: 4-3; **თამაშგარე**: 3-2.

მექსიკა-ჩილე 0:0

მექსიკა: ოჩოა, კასტრო, მაგაიონი, პინედა (81. არსე), ფრანსისკო როდრიგესი, კორეა, გუარდადო (46. ბაუტისტა), ლოსანო, მედინა, ბლანკო, ომარ ბრავო (75. ლანდინი).

ჩილე: კლაუდიო ბრავო, კორტეზი, ფუენტესი, როკო, ტელიო, ფიერო, იტურა, სანხუესა, ვილიანუევა (70. ფერნანდესი), ლორკა (77. მ.გონსალესი), უმბერტო სუასო.

გაფრთხილება: 2-1; **დარტყმა**: 9(3)-10(4); **ჯარიმა**: 17-12; **კუთხური**: 2-2; **თამაშგარე**: 0-0.

რობინიო კოპა ამერიკის ჯგუფური ტურნირი ოთხი გოლით დაასრულა. ოთხი გოლი სამ მატჩში შესანიშნავი მონაგარია და ის ორმაგად ფასობს, რაკი მრისხანე პენტაკამპეონებს განვლილ სამ თამაშში ამაზე მეტი არც გაუტანიათ. რობინიომ ეკვადორი 11-მეტრიანით დაამწუხრა. ბრაზილიამ მეტოქეს მინიმალური ანგარიშით მოუგო და B ჯგუფში მეორე ადგილს დასჯერდა. **კარლოს დუნგას** გუნდმა ისევ უსახურად ითამაშა. ნახევარდაცვა კვლავ უსუსტესი რგოლი იყო. პენალტი რომ არა, ბრაზილიას სამი ქულის მოპოვება ძალიან გაუჭირდებოდა.

11-მეტრიანი კი სრულიად უსაფუძვლო და უსამართლო სასჯელი იყო. ეკვადორელ მცველ **ჯოვანი ესპინოსას** რობინიო არ წაუქცევია. მადრიდელი თავდამსხმელმა უსირცხვილოდ ისიმულიანტა. ესპანეთის პრიმატზე მას ყვითელი ბარათი არ ასცდებოდა. სხვათა შორის, არგენტინელმა არბიტრმა **სერჯო პეცოტამ** მას წამოდგომა უბრძანა, მერე კი უეცრად პენალტის ნიშნულისაკენ გაიშვირა ხელი. ვითომ დაზარალებული რობინიო ბურთთან თვითონვე მივიდა და მეკარისაგან მარცხენა დაბალ კუთხეში დასცხო. მეკარე **მარსელო ელისაგა** ბურთს შესწვდა, მაგრამ ვერ მოიგერია, 1:0.

გოლამდე ეკვადორს ორი მომენტი ჰქონდა: **დონიმ ედისონ მენდესის** იერიში კუთხურზე მოიგერია. **ნისერ რეასკომ** კი ბრაზილიელთა მეკარეც მოატყუა, მაგრამ კარს გვარიანად ააცილა. მეტოქის დაწინაურების შემდეგ, ეკვადორელებმა ზეწოლა გააძლიერეს და ორჯერ ამაოდ მოითხოვეს პენალტის დანიშვნა. ერთ ეპიზოდში **კარლოს ტენორიომ** ნამდვილად ისიმულიანტა, რის გამოც სამართლიანად დაიმსახურა გაფრთხილება. ეკვადორი ზედიზედ მესამედ დამარცხდა, რის გამოც კოპა ამერიკას უსახელოდ გამოეთხოვა...

ჩილემ მექსიკასთან მატჩში მეოთხედფინალში გასვლისათვის საჭირო ერთი ქულა მიითვალა. მექსიკელებს ფლეი ოფის საგზური უკვე განაღდებული ჰქონდათ. ჩილელებმა შესუსტებული შემადგენლობა გაიყვანეს. ტრავმების გამო მათ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდათ, მათ შორის, ნახევარმცველი **ხორხე ვალდივილია**. პირველ ნახევარში **ნელსონ აკოსტას** შეგირდებმა ერთი ასპროცენტიანი მომენტი ვერ გამოიყენეს: **კარლოს ვილიანუევა** მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ბურთი ვერ დაიმორჩილა.

მექსიკელებს კონცენტრაცია აკლდათ. **უგო სანჩესმა** ძირითადში პირველად დააყენა **კვატემოკ ბლანკო**. ის ხშირად კარგავდა ბურთს და თავისიანებს ვერაფრით ეხმარებოდა, მაგრამ მწვრთნელმა შეგირდი ჯიუტად ბოლომდე ათამაშა.

მეორე ტაიმის დასაწყისში მექსიკელ მეკარე **გილერმო ოჩოას** ორი იერიშის მოგერიება მოუხდა: ჯერ **ხუან ლორკამ** შორიდან ძლიერად დასცხო, შემდეგ კი **უმბერტო სუასომ** ახლო მანძილიდან სცადა მეტოქის დამწუხრება. ერთ ეპიზოდში ლორკა მეტოქის საჯარიმოშიც გაიშლართა, მაგრამ პარაგვაელმა არბიტრმა **გილერმო ამარილიამ** პენალტის დანიშვნა ზედმეტად მიიჩნია.

ბრაზილიამ რობინიოს პენალტით მოიგო

1/4 ფინალში შეხვედებიან

ჩილე-ბრაზილია

პენესუელა-ურუგვაი

C1-პერუ

C2-მექსიკა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. მექსიკა	3	2	1	0	4-1	7
2. ბრაზილია	3	2	0	1	4-2	6
3. ჩილე	3	1	1	1	3-5	4
4. ეკვადორი	3	0	0	3	3-6	0

შოკი

კლინიკური სიკვდილი იენაში

ვერდერის ფეხბურთელს გული გაუჩერდა...

გუშინწინ იენის „კარლ ცაისის“ ფეხბურთელები, ბოსები და გულშემატკივრები შოკში ჩავარდნენ. „ვერდერის“ თავდამსხმელი, 19 წლის **ჯონ მოსკერა**, რომელიც იენურ კლუბში ისინჯება, ვარჯიშის დროს დაეცა და გონება დაკარგა. მოგვიანებით კი გულიც გაუჩერდა და რომ არა ექიმის დროული მოქმედება, ვერ გადარჩებოდა. კოლუმბიელი თავდამსხმელი ახლა თავს კარგად გრძნობს. „ახლა უკვე ნორმალურად საუბრობს და აღარაფერი აწუხებს. მას მხოლოდ ის ახსოვს, რომ მირბოდა. მერე კი მახსოვრობა უწყდება, არ იცის, როგორ დაეცა და იგრძნო თუ არა ტკივილი,“ – აცხადებს „კარლ ცაისის“ მთავარი ექიმი **რიუდიგერ ვაკერი**.

აი, როგორ მოხდა ყველაფერი: დილის 8.03 საათზე იენელები მორიგ კროსს დარბოდნენ, როცა მოსკერა მოულოდნელად მოწყვეტით დაეცა და გონება დაკარგა. მეორე მწვრთნელმა **ოლაფ ჰოლეტშეკმა** სასწრაფოდ პირველი დახმარება აღმოუჩინა. სასტუმროს მოსამსახურემ კი უცებ მანქანა მოიყვანა და გონწასული ფეხბურთელი სასტუმროსკენ გააქანეს (მანძილი ნახევარი კილომეტრი იყო).

ჯერ კიდევ მანქანაში ყოფნისას მოსკერას გული გაუჩერდა! გუნდის ექიმმა **ჰერიბერტ ციტცმანმა** ხელოვნური სუნთქვა და გულის მასაჟი ჩაუტარა – გული ისევ ამუშავდა! საავადმყოფოში 13.30 საათზე მიყვანეს, იმ დროს უკვე კარგად იყო. „ყველაფერი კარგად დამთავრდა, მიხარია, რომ კარგადაა. ამ ბიჭმა ძალიან გვანერვიულა,“ – აცხადებს „კარლ ცაისის“ მთავარი მწვრთნელი **ფრანკ ნოიბარტი**. შოკში ჩავარდნენ „ვერდერის“ ხელმძღვანელებიც. მენეჯერი **კლაუს ალოფსი** კოლუმბიელ ფეხბურთელს ყველანაირად მხარში დგომას ჰპირდება.

შემთხვევა ბრემენში

ექიმებმა გულის გაჩერების მიზეზი ჯერ ვერ დაადგინეს. გულის მუშაობის შეფერხებას არაფერი მოასწავებდა. ისევე, როგორც აბსოლუტურად ყველა პროფესიონალი ფეხბურთელი, გერმანიის საფეხბურთო ლიგაში სამედიცინო ტესტებს ისიც ყოველწლიურად გადის. იენელები ფეხბურთელებს კარდიოლოგიურ შემოწმებას წელინადში ორჯერ უტარებენ. მოსკერას პრობლემები არასდროს ჰქონია. მას სრულიად ჯანმრთელი გული აქვს...

ფელიქსი მგლებშიც დესპოტია

ფელიქს მაგათის ხელმძღვანელობით ვარჯიშს მტერსაც არ უსურვებს კაცი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს მწვრთნელი წარმოუდგენელი სისასტიკით გამოირჩევა. მისი ვარჯიშების გაძლებას ბევრი ვერ ახერხებს ხოლმე. ამიტომაც შეარქვეს ფელისს დესპოტი – სიმკაცრისა და სამართლიანობის გამო. მაგათს „ვოლფსბურგი“შეკრებაზე ჰყავს და რა თქმა უნდა, ფეხბურთელებს ტყავს აძრობს. ფელიქსმა უკვე დასაჯა არგენტინელი **ხუან მენსეგესი**. „*ის ზარმაცობდა და ყოველთვის ბოლოს მიჩანჩალებდა. ასეთ ვარჯიშს აზრი არა აქვს! ჰოდა, მეც მოვთხოვე, რომ სხვადასხვა მძიმე დავალება შეესრულებინა,*“ – აცხადებს მაგათი. „*ასეთი აუტანელი ვარჯიში კარიერის განმავლობაში არ მჭონია. მარცხენა ფეხი საშინლად მტკივა, მწვრთნელი ზედმეტად მკაცრია,*“ – ეს კი თვითონ მენსეგესის სიტყვები გახლავთ. დიდი შანსია, რომ ამ სიტყვების გამო ის ფელიქსმა კიდევ უფრო მაგრად დასაჯოს...

შალკე აპიას შეეშვა

გელზენკირხენის „შალკე“ „ფენერბაჰჩეს“ განელ ნახევარმცველ **სტეფან აპიას** ვერ ყიდულობს. გუშინ **ლევან კობიაშვილის** გუნდის გენერალურმა მენეჯერმა **ანდრეას მიულერმა** ტრანსფერი ჩაშლილად გამოაცხადა. „*სამწუხაროდ, ხელფასზე ვერ შევთანხმდით. აპია ძალიან დიდ ფულს ითხოვდა, ჩვენ კი ამდენის გადახდის საშუალება არ გვაქვს. საკუთარ თავს ვერ გადავახტებით, ეს ძალიან დიდი რისკი იქნებოდა,*“ – განუცხადა მიულერმა „კიკერს“. შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ ორი კვირის წინათ „ხუმარების“ პრეზიდენტმა **იოზეფ შნუზენბერგმა** განაცხადა, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ აპიამ ჩვენი გუნდის მაისურა მოირგოსო. ახლა „შალკეს“ პირველი სამიზნე „ვერდერის“ საყრდენი ნახევარმცველი **ლეონ ანდრეასენია**.

დერბის ახალი კონტრაქტი

“დერბის” თავკაცმა **ბილი დევისმა** კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. ის “პრაიდ პარკზე” 2010 წლამდე დარჩება. შოტლანდიელი სპეციალისტი გუნდში გასულ ზაფხულს “პრესტონდან” მივიდა და უმალ პრემიერლიგაში აღაზევა. ერთი კვირის წინათ დევისმა დერბელთათვის სარეკორდო თანხად უელსის ნაკრებისა და “ნორვიჩის” ნახევარმცველი **რობერტ ერნშო** შეიძინა. მანვე კონსულტანტად შოტლანდიელთა ყოფილი თავკაცის, **კრეიგ ბრაუნის** დანიშვნა მოითხოვა. მწვრთნელს ეს სურვილი დაუყოვნებლივ შეუსრულეს. დევისის თქმით, ბრაუნი მას სასურველი ტრანსფერების განხორციელებაში დაეხმარება.

მაქსი ლოპესს ლისაბონში უხმეს

ლისაბონის “სპორტინგი” **მაქსი ლოპესით** დაინტერესდა. არგენტინელი თავდამსხმელი “ბარსელონის” საკუთრებაა. კატალონიელები მოლაპარაკებების გამართვაზე თანახმანი არიან. ლოპესი 4 მილიონი გირვანქა ღირს. ლისაბონელებს, რომელთაც ფლეიმეიქერი **ანდერსონი** “მანჩესტერ იუნაიტედში” გაყიდეს, ფულის პრობლემა არ აქვთ.

დორტმუნდი

შაპინი არენდით ფეიენოორდში

დოლმა რიკენზე საბოლოოდ ხელი ჩაიქნია...

სამშაბათის ნომერში დორტმუნდის „ბორუსიის“ მთავარ მწვრთნელ **თომას დოლის** ინტერვიუ შემოგთავაზეთ, სადაც ვესტფალიური კლუბის დამრიგებელმა პირდაპირ თქვა, **ლარს რიკენი** ჩემს გეგმებში ვერ ჯდება და შეუძლია, ახალი გუნდი ეძებოსო. დოლმა ნათქვამი საქმითაც დაამტკიცა – ახალგაზრდა სპეციალისტს 30 წლის ნახევარმცველი, რომელიც „ბორუსიის“ გულშემატკივრებისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, შვეიცარიულ შეკრებაზე არ მიჰყავს. შაბათს, მორიგი ტესტმატჩის შემდეგ, თომასი იმ ფეხბურთელებს დაასახელებს, რომლებიც გუნდს შეკრებაზე გაჰყვებიან. გამორიცხული არაა, რომ მწვრთნელმა კიდევ რომელიმე მოთამაშე არ წაიყვანოს.

ამასობაში, „კიკერი“ იტყობინება, რომ **ნური შაჰინის** „ფეიენოორდში“ განათხოვრება ფაქტობრივად გადაწყვეტილი ამბავია. 18 წლის თურქ ნახევარმცველს, რომელიც უდიდეს ტალანტად მიიჩნევა, დორტმუნდში უდიდესი კონკურენცია ელის და ფაქტია, რომ სათამაშო პრაქტიკა არ ექნება. ამის გამო, BVB-ს შეფები თანახმა არიან, რომ ის „ფეიენოორდში“ გაანათხოვრონ. ამ გუნდს კი, როგორც იცით, „დორტმუნდის“ ყოფილი დამრიგებელი **ბერტ ვან მარვიიკი** წვრთნის. შაჰინის არენდით აყვანა სწორედ ამ უკანასკნელის იდეა გახლდათ. „კიკერის“ ინფორმაციით, არენდის ფასი 100 ათასი ევროა. ნური როტერდამში ერთ სეზონს გაატარებს.



ბერტ ვან მარვიიკი და ნური შაჰინი ფეიენოორდშიც ერთად იქნებიან

მოსალოდნელი ტრანსფერი

ჰანზამ აილტონი მოისურვა

როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, დიდი შანსია, რომ ბუნდესლიგას თავისი „შვილი“ დაუბრუნდეს – ელიტაში დაბრუნებულ როსტოკის „ჰანზას“ ბრაზილიელი **აილტონის** დაბრუნება სურს, დიახ, სწორედ აილტონისა! როსტოკული კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **ჰერბერტ მარონმა** ეს ინფორმაცია გუშინ დაადასტურა.

„დიახ, ჩვენ აილტონის გადმობირება გვინდა. მის მრჩეველსაც ვესაუბრეთ და ერთმანეთშიც მოვილაპარაკეთ. მაგრამ მეტი არც არაფერი მომხდარა. როცა ისეთი ფეხბურთელი, როგორიც აილტონია, ტრანსფერზეა დაყენებული, გულზებელებდაკრეფილი ვერ იქნები. რამდენად რეალურია ტრანსფერი, ეს უკვე ცალკე სასაუბრო თემაა და უახლოეს დღეებში გაირკვევა,“ – განუცხადა მარონმა საინფორმაციომ საagენტო sid-ს.

33 წლის თავდამსხმელი დღესდღეობით ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ საკუთრებაა. ამ სეზონში ის ციურიხის „გრასჰოპერსში“ გახლდათ განათხოვრებული. პუტკუნა ტონიმ შვეიცარიის ჩემპიონატში 13 მატჩში 8 გოლი გაიტანა. შეგახსენებთ, რომ გერმანიაში ის უკვე იცავდა ბრემენის „ვერდერის“, „შალკესა“ და „ჰამბურგის“ ღირსებას. 2003/04 წლების სეზონში კი, „ვერდერის“ მაისურით 28 გოლი გაიტანა და გერმანიის პირველობის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

ეს საინტერესოა

ბაიერნის ათი მცნება

ანუ ის, რაც ტონისა და რიბერის ყოველთვის უნდა ახსოვდეთ...

ტონი და რიბერი: ახალწვეულებს მიუნხენური კანონების შესწავლა მოუწევთ

ლუკა ტონი და ფრანკ რიბერი – „ბაიერნის“ გულშემატკივრებს სხვა არაფრის გაგონება აღარ სურთ. ვიღას ახსოვს **ბასტიან შვაინშტაიგერი, ლუკას პოდოლსკი** ან **ფილიპ ლამი**? ყველას იტალიელი გოლიათისა და ფრანგი შემმუსვრელის გვარები აკერია პირზე. ვარჯიშის დროს ტონისა და რიბერის ბურთთან შეხებას ფანები აპლოდისმენტებით ხვდებიან და ფეხბურთელებიც თავს არ ზოგავენ იმისათვის, რომ უფრო მეტი სიმპათია დაიმსახურონ. **ოტმარ ჰიცტფელდს** ამჯერად პროგრამაში მხოლოდ სირბილი აქვს, ჰოდა ისინიც დარბიან.

მოკლედ, ეს ის დღეებია, როცა ეს ორი ახალწვეული მიუნხენურ კლუბს, იქაურ ატმოსფეროს ნელ-ნელა ეცნობა. იმისათვის, რომ იტალიელმა და ფრანგმა ბევრი რამ მოსალოდნელზე ადრე, ახლავე შეიტყონ, „ბილდმა“ სპეციალურად მათთვის ის 10 მცნება გამოაქვეყნა, რაც „ბაიერნის“ ფეხბურთელმა ზეპირად უნდა იცოდეს და რასაც აუცილებლად უნდა ასრულებდეს, თუ არ უნდა, რომ რეკორდმაისტერში პრობლემები შეექმნას. ვიდრე ამ ყველაფერს თავად გამოცდიან, უმჯობესია, ახლავე წაიკითხონო, წერს „ბილდი“ - *„სინიორ ტონი, მოსიე რიბერი, „ბაიერნი“ არ არის სამოთხე, აქ ყველაფერი ძნელია! წაიკითხეთ და შეასრულეთ 10-ივე მცნება. ასეთ შემთხვევაში, მიუნხენურ კლუბში ყოველთვის სასურველი ადამიანი იქნებით და თქვენი ბაიერნული კარიერაც ძალიან კარგად ჩაივლის.“*

1. კაიზერი ყოველთვის მართალია!

ფრანც ბეკენბაუერმა ფეხბურთელისა და მწვრთნელის რანგში მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატი. ის „ბაიერნის“ ოქროს თაობის წარმომადგენელია, დღეს კი გუნდის პრეზიდენტი გახლავთ. მისი სიტყვა კანონია!

2. შეცდომა მოგვივიდათ? უფრთხილდით კანს!

ოლივერ კანი არავის ეპუება და ცხადია, რომ არც ტონისა და რიბერის შეეპუება. გასულ სეზონში **ვან ბუიტენს** შეუტია, ადრე **ანდი ჰერცოგი** უცემია. თქვენ ხომ არ გინდათ, რომ გაჯანჯღაროთ და გიღრიალოთ?

3. არავითარი ძალეგი!

ფრთხილად იყავით დისკოთეკებზე. „ბაიერნის“ ფეხბურთელებს ქალები არ ასვენებენ ხოლმე. არ ამჩატდეთ, თორემ ცუდ დღეში ჩავარდებით.

4. ღვინო აკრძალულია!

სახლში, გნებავთ, „ბორდო“ დალიეთ და გნებავთ, სხვა რამ. აი, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე კი ღვინის დალევა გამორიცხეთ! ბავარია ლუდის მხარეა, აქ მხოლოდ ამ სასმელს სვამენ.

5. ლურჯი იდიოტების ფერია!

დაიხსომეთ, ლურჯი ფერი იდიოტების ფერია და თქვენი გარდერობიდან, რაც ლურჯია, ყველაფერი უნდა გაქრეს. მართალია, იტალიისა და საფრანგეთის ნაკრებში ლურჯი ფერით თამაშობს, მაგრამ მიუნხენში ეს „მიუნხენ 1860-ის“ ფერია, „ბაიერნის“ მოსისხლე მტრისა.

6. კანის დამკვიდრებული ტრადიცია!

ყოველი ვარჯიშის წინ რომელიმე ფეხბურთელს დიდი ჩანთა გამოაქვს, რომელსაც ვარჯიშის შემდეგ გასარეცხი ფორმებით ავსებენ. მორიგეობა თქვენც მოგიწევთ.

7. მოერიდეთ სარეკლამო ბილბორდებს!

ფეხები არ ურტყათ! ეს მიუნხენში ცუდ სტილად მიიჩნევა. ასეთი რამ ერთხელ **იურგენ კლინსმანმა** გააკეთა, რისთვისაც სერიოზული პრობლემები შეექმნა, თან ტრავმაც მიიღო...

8. როდის ველაპარაკოთ ჰიონესს?

ული ჰიონესთან საუბარს მხოლოდ მოგებული თამაშების შემდეგ გირჩევთ. როცა „ბაიერნი“ სამ ქულას ვერ იღებს, ბოსი ძალიან ცუდ ხასიათზეა ხოლმე. ამ კაცს უყვარს „ბაიერნი“, ის „ბაიერნით“ ცოცხლობს, „ბაიერნი“ მისი შვილია.

9. არაუმეტეს 120 კმ/სთ!

გადააჭარბებთ სიჩქარეს? მანქანა ჩამოგერთმევათ.

10. მეორე ადგილი მსოფლიოს დასასრულია!

ეს „ბაიერნი“ გერმანიის ჩემპიონი რომ ვერ გახდეს, ჩათვალეთ, რომ მოვიდა აღსასრულის დღე! მეორე ადგილი „ბაიერნში“ ძალიან ცუდს ნიშნავს. მოიგეთ „ვერცხლის სინი“, წინააღმდეგ შემთხვევაში „ბაიერნის“ უფრო ცუდ მხარეებს გაიცნობთ...

გოტფრიდ ლენცი

ტორსტენ ფრინგსი

ინტერვიუ ტორსტენ ფრინგსთან

ვნახოთ, რისი მაჭვისი იქნება ბაიერნი...

ვერდერის ნახევარმცველი ფიქრობს, რომ რეკორდმაისტერში ყველაფერი იდეალურად ვერ არის...

ტორსტენ ფრინგსი ერთადერთი კაცია, ვინც მიროსლავ კლოზე „ბაიერნში“ გადასვლის გამო სახალხოდ გააკრიტიკა. ეს არის ფეხბურთელი, რომელიც საკუთარი აზრის გამოთქმას არასდროს ერიდება, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ძალიან წვეტიანი და პროვოკაციული აზრები აწუხებს. ყოველ შემთხვევაში, ბრემენის „ვერდერისა“ და გერმანიის ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი პირდაპირი და პირში მთქმელი კაცია და ეს დღემდე არაერთხელ დაუმტკიცებია. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ტურინის „იუვენტუსში“ გადასვლაზე უარი თქვა და „ვერდერში“ დარჩა, მას ჰქონდა უფლება, რომ კლოზეზე აგდებით ესაუბრა და მირო კრიტიკის ქარცეცხლში გაეტარებინა. გამოცემა „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ფრინგსი არაერთ საინტერესო თემაზე საუბრობს.

- ჰერ ფრინგს, როგორ მოგწონთ ნორდერნაი?

- შესანიშნავი ადგილია. აქამდე აქ არასდროს ვყოფილვარ და მოხიბლული დავრჩი. რაც მთავარია, სინყნარეა, კარგი ბუნება და აბსოლუტურად ყველა წინაპირობაა იმისათვის შექმნილი, რომ გუნდი კარგად მოემზადოს.

- „ვერდერმა“ ჩრდილოეთი გერმანიის ერთერთ კუნძულს მიაშურა, „ბაიერნი“ კი მსოფლიო ქალაქ ჰონგკონგს სტუმრობდა. განსხვავება ძალიან დიდია - იქნებ ერთი წამით მაინც ინატრეთ ბაიერნელობა?

- ღმერთო ჩემო, რატომ უნდა მენატრა? ბრემენში თავს შესანიშნავად ვგრძნობ. აქ დაბრუნება ან მიუნხენიდან წამოსვლა არასდროს მინანია.

- „ბაიერნმა“ მსოფლიო დონის ვარსკვლავები შეიძინა და კლოზეც ნაგართვათ, „ვერდერს“ კი ჯერ არავინ უყიდია. ნუთუ ეს არ არის იმის მიზეზი, რომ მიუნხენურ კლუბში ყოფნა ინატროთ?

- არა, რადგან სუპერვარსკვლავების ყიდვა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ „ბაიერნი“ ყველაზე მაგარი გუნდი იქნება. „ვერდერს“ კი უკვე ჰყავს კარგი გუნდი.

- რას უწოდებდით „ბაიერნს“ – „განავალ მილიონერებს“ თუ ცირკის გუნდს?

- „ბაიერნი“ ყოველთვის ტოპფავორიტია – ეს დაუწერელი კანონია. მაგრამ ის, რომ მათ ახალ ფეხბურთელებში 70 მილიონი ევრო დახარჯეს, არ ნიშნავს იმას, რომ ამის გამო აუცილებლად ჩემპიონები გახდებიან. თუმცა ამ თემაზე საუბარი არც მსურს, მე „ვერდერი“ უფრო მაინტერესებს.

- თქვენმა მწვრთნელმა თომას შააფმა თქვა, ბუნდესლიგის პირველი ფავორიტი „შტუტგარტია“, მეორე „შალკე“, მესამე „ვერდერი“, მეოთხე კი „ბაიერნიო“. განა „ბაიერნი“ სამივე მათგანს არ ჯობია?

- მიუნხენელებმა ლამის მთელი გუნდი შეცვალეს. ახალმა ფეხბურთელებმა ჯერ საკუთარი თავი უნდა იპოვონ. ეს კი, „ბაიერნში“ არც ისე იოლია. ადაპტაციას საკმაო დრო დასჭირდება, თანაც, სკანდალებიც იქნება, რადგან კონკურენცია უდიდესია. ერთიც ვნახოთ, რა და როგორ იქნება ამ „ბაიერნში“. ვისაც ჰგონია, 70 მილიონი დაიხარჯა, ტონი და რიბერი მოვიდნენ, რის გამოც ყველაფერი იდეალურად იქნებაო, ძალიან ცდება.

- როგორ გგონიათ, კლოზე ადგილს უპრობლემოდ დაიმკვიდრებს?

- სიმართლე გითხრათ, ჩემთვის სულერთია, სად თამაშობს მირო, „ბაიერნში“ თუ „ბრაუნშვაიგში“. ის ულაპარაკოდ უდიდესი თავდამსხმელია. „ბაიერნში“ რომ წავიდა, ჯამში ეს მაინც სწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან „ვერდერში“ რომ დარჩენილიყო, მაინც ველარ დაიბრუნებდა იმ სიყვარულს, რაც ფანებს მისდამი გააჩნდათ მანამ, სანამ კლოზემ ყველაფერი არ გააფუჭა.

- „ვერდერი“ „ბაიერნს“ ჯერ გერმანიის ლიგის თასზე შეხვდება, მერე კი ბუნდესლიგის მეორე ტურში. რა ელის კლოზეს?

- სტვენა, სტვენა და კიდევ სტვენა! „ვერდერის“ ქომაგები სტვენით აიკლებენ. სხვათა შორის, ასეთი რამ საკუთარ თავზე მეც გამოვცადე, როცა დორტმუნდის „ბორუსიიდან“ „ბაიერნში“ გადავედი, მაგრამ არ მწყენია, რადგან ეს ნაბიჯი საკუთარი სურვილით გადავდგი. მიროსაც ნუ ეწყინება – ეს ყველაფერი მისივე ბრალი იქნება.

- ამბობენ, „ვერდერმა“ კლოზესთან ერთად, „ვერცხლის სინის“ მოპოვების შანსიც დათმოო...

- არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფეხბურთს 11 კაცი თამაშობს. სხვათა შორის, შეცდომები მხოლოდ კლოზემ კი არ დაუშვა, არამედ ყველამ, მთელმა გუნდმა. იმაში, რომ „ვერდერმა“ წელს „სინი“ ვერ მოიგო, ყველას მიუძღვის ბრალი, რადგან შესანიშნავი შანსი გვქონდა, ჩვენ კი იდიოტებივით მოვიქეცით. მე ვერ ვხედავ მოსალოდნელ უბედურებას მხოლოდ იმის გამო, რომ მიროსლავ კლოზემ დაგვტოვა. არა, ეს ასე არ არის.

- თქვენი ხელმძღვანელების შეცდომებზეც საუბრობდით...

- მე უბრალოდ ვთქვი, რომ შეცდომები ყველამ დაუშვა, აბსოლუტურად ყველამ.

- იქნებ იმას გულისხმობთ, რომ შააფმა ერთი ხანობა, მოულოდნელად ტიმ ვიზე სასტარტოდან ამოაგდო და მის ნაცვლად კარში რაინკე დააყენა, ან იმას, რომ მიუხედავად ბედოვლათობისა, ძალიან დიდხანს ენდობოდა კლოზეს...

- მოდით, კონკრეტულ მაგალითებს ნუ მომთხოვთ. მე ყველაფერი ერთად ვიგულისხმე. ჩვენ ადამიანები ვართ და გასაკვირი არაფერია იმაში, რომ შეცდომები მოგვდის.

- გენერალური მენეჯერი კლაუს ალოფსი ამბობს, სულაც არაა აუცილებელი, რომ კლოზეს შემცვლელი ვიყიდოთო. იზიარებთ ამ მოსაზრებას?

- სავსებით. ახლა სხვა თავდამსხმელების ჯერია. მაგალითად, მარკუს როზენბერგის დიდი იმედი მაქვს - ძალიან კარგი ბიჭია და გოლების გატანა ეხერხება. მან თავის თავზე უბრალოდ უფრო მეტი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს და ყველაფერი გამოუვა. თუ სატრანსფერო ბაზარზე კარგი ფორვარდი გამოჩნდება, უნდა შევიძინოთ და ეს ცუდი ნამდვილად არ იქნება. ხოლო თუკი არავინ ჩანს, მაშინ ძებნა და რისკზე წასვლა მართლაც არაა აუცილებელი. მხოლოდ ის, რომ ვიღაცის ჯიბაზე ვიღაც ვიყიდოთ, აშკარად არ იქნება გამართლებული.

- შედგება თუ არა კარლოს ალბერტოს ტრანსფერი?

- იმედი მაქვს, რომ შედგება. ყოველ შემთხვევაში, ტენდენცია საკითხის დადებითად გადაწყვეტისკენ მიუთითებს. კარლოს ალბერტო ჩინებული ნახევარმცველია, რომელიც ძალიან გვჭირდება.

- ხომ არ ნაღვლობთ იმის გამო, რომ მწვრთნელმა გუნდის კაპიტნად ისევ ფრანკ ბაუმანი დაასახელა?

- არავითარ შემთხვევაში. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ბაუმანი ჩინებული კაპიტანია.

- თქვენ კი ჩუმ, საიდუმლო კაპიტნად მიიჩნევით. მაგალითად, ამას წინათ, შეკრებაზე სიტყვით გამოხვედით...

- ეს მხოლოდ ჩემი კი არა, ფეხბურთელების უდიდესი ნაწილის იდეა იყო. ჩვენ გვინდა, რომ გუნდური სულისკვეთება გავამძაფროთ. ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ ყოველდღე ვიღაც გამოვიდეს სიტყვით. პირველობა კი მე მხვდა წილად.

- გასული სეზონის დაწყების შემდეგ, როცა დიეგომ ყველა აღაფრთოვანა, მასზე ძალიან ცუდად საუბრობდით. ამბობდნენ, ფრინგსს შეშურდა, მოულოდნელად ყველა დიეგოს რომ აქებსო. დღეს არ ნანობთ მაშინდელ მწარე განცხადებებს?

- მაშინ პრესამ ჩემი განცხადებები ძალიან გააბუქა. ერთ რამეს ვიტყვი: დიეგოს და მე ერთმანეთთან პრობლემა არასდროს გვქონია. პირიქით, ერთმანეთს ყოველთვის შესანიშნავად ვუგებდით და ახლაც ასეა.

- ყველაზე მეტად რამ გაგაგიჟათ გასულ სეზონში?

- ჭორებმა იმის შესახებ, რომ თითქოს კლოზეს მეუღლე ოვომოიელასგან იყო ფეხმძიმედ. ამის გამო მთელი გუნდი ფეხზე უნდა დავმდგარიყავით.

- ახალი სეზონისთვის რას ისურვებდით?

- მინდა, რომ გულშემატკივრებს ისევ ლამაზი ფეხბურთი ვაჩვენოთ, ოღონდ, ამჯერად უფრო წარმატებული.

გოტფრიდ ლენცი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა GEORGIA

ხელბურთი ეროვნული ნაკრები

გადაწყდება თბილისი?

საქართველოს ხელბურთის ასოციაცია ეროვნული ნაკრების საკითხზე აქტიურად მუშაობს. როგორც იცით, დაგეგმილია ჩვენი ხელბურთის უპირველესი გუნდის გამოსვლა "ჩელენჯ ტროფიზე", რომელიც ოქტომბერში უნდა ჩატარდეს. ხსენებული ტურნირი ორ ჯგუფად იმართება და ახლა სწორედ იმაზე მიდის მუშაობა, რომ ჩვენი ჯგუფის მატჩები თბილისში ჩატარდეს. ევროპის ხელბურთის ფედერაციას ამ საკითხისთვის წერტილი წინა ოთხშაბათს უნდა დაესვა, მაგრამ ჩვენს ასოციაციაში მთელი კვირა უშედეგოდ ელოდნენ პასუხს. როგორც ასოციაციის გენერალურმა მდივანმა **ზურაბ კაკაბაძემ** გვითხრა, 14 ივლისს, ევროპის ხელბურთის ფედერაცია აღმასკომის სხდომას გამართავს და ჩვენი საკითხიც, საბოლოოდ, იქ უნდა გაირკვეს. წინასწარი, სიტყვიერი შეთანხმებით, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ თბილისს მასპინძლობის უფლებას მისცემენ, მაგრამ სანამ "ჩელენჯ ტროფის" ორგანიზატორებისგან ოფიციალურ დასტურს არ მივიღებთ, საკითხს მოგვარებულად, რა თქმა უნდა, ვერ ჩავთვლით.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები, "ჩელენჯ ტროფის" ერთ-ერთ ჯგუფში, ტურნირის მოქმედ ჩემპიონ მოლდოვასა და ფინალისტ აზერბაიჯანთან ერთად მოხვდა. ასევე ჩვენს ჯგუფში ითამაშებს სომხეთის ნაკრებიც.

კობა ხატისაშვილი

ჭიუდო ქალები

ნაყოფიერი შეკრება ბელგრადის წინ

ჭიუდოისტ ქალთა ნაკრების თავს დატრიალებული ამბების შესახებ, მკითხველმა უკვე იცის. მისასალმებელია, რომ ამ ძნელბედობის ჟამს, ჭიუდოისტებს დახმარების ხელი ოლიმპიურმა ფონდმა გაუწოდა. მისი დაფინანსებით, 17-ნლამდელ გოგონათა ნაკრებმა, ახლახან, თურქეთში შეკრებაც გაიარა, მერე კი ეროვნულის რამდენიმე წევრმა სტამბოლში უმაღლესი კატეგორიის ტურნირშიც იასპარეზა. გოგონები ივლისის ბოლოს ბელგრადში გასამართი ევროპის ჭაბუკთა ფესტივალისთვის ემზადებიან და შეკრებასაც, ძირითადად, იქ ნასაყვანი გუნდი გადიოდა, სტამბოლიდან საკმაოდ დაშორებულ ქართულ სოფელ საქარიაში...

შეკრების დასრულების შემდეგ, ჩვენებმა სწორედ სტამბოლში გადაინაცვლეს, ქალთა დიდ საერთაშორისო ტურნირში საჭიდაოდ. ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა **ვალერი პარუნაშვილმა** იქ ეროვნულის ის სამი წევრიც ნაიყვანა, რომელმაც სექტემბერში, ბრაზილიაში მსოფლიო ჩემპიონატზე უნდა იასპარეზოს: **დუსკა ქერიმოვა** (57), **ანა ძაძამია** (63) და **ირინა ლეონიძე** (+78). თუმცა ძაძამია მენისკმა შეაწუხა და ვერ იჭიდავა. შეჯიბრება ფრიად სოლიდური გამოდგა. სტამბოლში 40 ნაკრები გამოდიოდა და მისასალმებელია, რომ ასეთ ძლიერ ტურნირში ლეონიძემ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ერთადერთი ბრძოლა მან მაროკოელთა ნატურალიზებულ მონგოლთან წააგო, დანარჩენებს კი არაფერი დაუთმო და მესამეზე გავიდა. საყურადღებოა 16 წლის **მარიამ ტარუაშვილის** გამოსვლაც, რომელიც, გარდა იმისა, რომ ბევრად უფროსებთან იჭიდავა, მისთვის უჩვეულო ზედა წონაშიც (ბელგრადის წინ შეგულებულს მწვრთნელებმა წონა არ დააკლებინეს) გამოვიდა. საბოლოოდ, ის მეხუთე ადგილზე გავიდა, ამავე წონაში კი ქერიმოვა მეშვიდე იყო. აღსანიშნავია, რომ მან რუსეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი დაამარცხა.

ბელგრადში, ჭაბუკთა ოლიმპიურ ფესტივალზე, ტარუაშვილი თავის წონაში, 52 კგ-ში იჭიდავებს. მის გარდა, იქ **გულინა თინიკაშვილი** (44), **ნათია როსტომაშვილი** (48) და **დიანა ნანიევაც** (57) იჭიდავებენ.

რაც შეეხება ბრაზილიაში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატს, იქ ლეონიძე და ქერიმოვა ნამდვილად გამოვლენ, აი, ძაძამიას ნაცვლად კი, ალბათ, **თინათინ ქულოსაშვილი** (63) იჭიდავებს. ჯერ ძაძამიას ფეხის ამბავია გასარკვევი. არაა გამორიცხული, მას ოპერაციაც დასჭირდეს, მაგრამ ამ დღეებში ვიზები უკვე უნდა გამზადდეს და ქალთა ნაკრების ხელმძღვანელობამ საკონსულოში ქულოსაშვილის საბუთები გააგზავნა.

ირაკლი თავაძე

ჩოგბურთი

უიმბლდონზე ქართველი შეაქეს

უიმბლდონის ახალგაზრდულ ტურნირზე 16 წლის ქართველი ჩოგბურთელის **ოქსანა კალაშნიკოვას** კარგ თამაშს უკვე მოჰყვა ბრიტანელ ჟურნალისტთა შეფასებები. შეგახსენებთ, რომ მეორე წრეში ოქსანამ მე-9 ნომრად განთესილი ბრიტანელი **ნაომი ქეევედი** დაამარცხა - 6:3, 6:4. დღეს, მერვედფინალში, კალაშნიკოვას არანაკლები გამოცდა ელის: მას მე-6 ნომრად განთესილი **ურსულა რადვანსკა** გამოცდის. ურსულა მსოფლიოს 35-ე ჩოგნის, **აგნიეშკა რადვანსკას** უმცროსი და. უმცროსი რადვანსკა ახალგაზრდებში მსოფლიოს მე-8 ჩოგანია, დიდებში კი ცოტა ხნის წინათ სამასეულში შედიოდა.

აი, რას წერს უიმბლდონის ტურნირის ოფიციალური საიტი: "გოგონათა მერვედფინალში ერთმანეთს ორი 16 წლის, მაღალი, ძლიერი, საკუთარ ძალებში დარწმუნებული ჩოგბურთელი შეხვდება, რომელთაც უკვე დაანახეს პუბლიკას თავიანთი დიდი პოტენციალი ბალახის კორტებზე... რადვანსკას ექვსი ფუტის სიმაღლის ქართველი დაუპირისპირდება, რომელმაც პირდაპირ გააცამტვერა ნაომი ქეევედი. ქეევედი მუდამ მომგერიებლის მდგომარეობაში იყო, კალაშნიკოვა კი აწვდიდა და აწვდიდა უძლიერესად. კალაშნიკოვას მხარეს მეტი ათლეტიზმი, გრძელი ხელები და ფეხებია, რომელთა წყალობითაც ის კორტის ნებისმიერ წერტილში დროულად ჩნდება, პოლონელის უპირატრეობა კი, ასაკის მიუხედავად, გამოცდილებაა".

ერთეულებში ნააგო, წყვილებში იმარჯვა

იტალიის ქალაქ კუნეოში ქალ ჩოგბურთელთა 50-ათასიანი ტურნირი მიმდინარეობს, სადაც საქართველოს პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** ასპარეზობს. პირველ წრეში ჩახნაშვილმა იტალიელ **დენტონის** კი მოუგო იოლად, მაგრამ ტრავმა მიიღო და მერვედფინალში მე-7 ნომრად განთესილ **იულია შრუფთან** (გერმანია, 110) მთელი ძალით ველარ ითამაშა. გერმანელის უპირატესობა თვალსაჩინო იყო - 0:6, 2:6. მიუხედავად ტრავმისა, მაკამ უკრაინელ მეწყვილე **იულია ბეიგელციმერთან** ერთად მაინც გააღწია წყვილთა თანრიგის ნახევარფინალში. წყვილმა მათ ესპანელ **ლაურა პოუს-ტიოსა** (128) და ფრანგ **ვიოლეტ ჰუას** (249) მოუგო - 6:4, 6:3. კუნეოს ტურნირის ნახევარფინალში ჩახნაშვილსა და ბეიგელციმერს ბელგიელი **კაროლინ მაესი** (155) და ფრანგი **მატილდა იოჰანსონი** (114) დაუპირისპირდებიან.

ნიკოლოზ ნეფარიძე

გამარჯვებული

ლერი ხაბელოვი იმ ადამიანთა შორისაა, რომლებიც საკუთარ თავს თავად უდგამენ ძეგლს. ოლიმპიური ოქრო-ვერცხლი, მსოფლიო ჩემპიონატების 5 ოქროსა და ერთი ბრინჯაოს მედალი, 4 ევროპული ოქრო - მისთვის, ძეგლად ეს ჯილდოები იქცა, მაგრამ თუ კარგად მოვეძიებით, ლეგენდარული ფალავნის კოლექციაში კიდევ არაერთ მედალს აღმოვაჩენთ. უბრალოდ, აქ ყველაზე გამორჩეულებზე ვთქვით, თორემ მას არაერთხელ გაუმარჯვია ყოფილ საკავშირო პირველობებსა თუ სპარტაკიადებში, მსოფლიო თასებზე, უძლიერეს საერთაშორისო ტურნირებში; გაუმარჯვია როგორც უფროსებში, ასევე ახალგაზრდებში, დაუსახელებიათ საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად... აქ არაფერს ვამბობთ ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებზე, რადგან დიდებისა და სახელისთვის მხოლოდ პირველხარისხოვან ტურნირებზე მოპოვებული ჯილდოებიც კმარა. სწორედ ამ წარმატებებმა აქცია ის თავისი ეპოქის გამორჩეულ ფალავნად. მას უდიდს პატივს სცემდნენ ჯერ კიდევ სპორტსმენობისას, მაგრამ საჭიდაო სამყარო არც ხალიჩიდან წასვლის შემდეგ ივიწყებს. ახლახან, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ ახალდაარსებულ დიდების დარბაზშიც შეიყვანა. ხაბელოვი ამ დარბაზის ერთ-ერთი პირველი წევრია, საქართველოდან კი მეორე. მანამდე, ასეთი პატივი ლევან თედიაშვილს ერგო...

სპორტთან აქტიური კავშირი არც კარიერის დასრულების შემდეგ შეუწყვეტია. ჯერ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა, აშკარად კი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტია. ორივე პოსტზე ხაბელოვს უაღრესად ნაყოფიერი გარჯა გამოარჩევდა. თუმცა ქართული სპორტის წინაშე მისი დამსახურება მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. მან ბორჯომში შესანიშნავი სპორტული კომპლექსი ააშენა, რომელიც ძირითადად მოჭიდავეებზეა გათვლილი, მაგრამ იქ ვარჯიში სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებსაც შეუძლიათ. ასეთ იზოლირებულ, მყუდრო და ტუქად კომპლექსს მოჭიდავეები მუდამ ნატრობდნენ, ახლა კი ეს პრობლემა მოეხსნათ და მათგან არაერთხელ მოგვისმენია მადლიერების სიტყვები ხაბელოვის მისამართით. თამამად შეიძლება იმის თქმაც, რომ ის ამ მხრივ ნოვატორია. მისებრ ხაბელოვან ფალავანთაგან მსგავსი ბაზა არ გვახსოვს. იმედია, მას სხვებიც მიბაძავენ.

გუშინ ლერი ხაბელოვი 43 წლისა გახდა. უამრავ გულშემატკივართან ერთად, სახელოვან ფალავანს იუბილეს "ლელოს" რედაქციაც ულოცავს და კვლავაც ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას უსურვებს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს ამაგე კომიტეტის პირველ ვიცე-პრეზიდენტს, ლეგენდარულ მოჭიდავეს **ლერი ხაბელოვს.**

ჭიდრეკი ნანა ალექსანდრიას სახელობის საერთაშორისო ფესტივალი

ნანა ალექსანდრია

ფოთი საერთაშორისო არენაზე

ფოთი დიდი ქართველი მოჭიდრაკის **ნანა ალექსანდრიას** მშობლიური ქალაქია და, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების უდიდესი ნაწილი თბილისში გაატარა, ფოთელები თავისიანად მიიჩნევენ და პატივისცემასაც არ აკლებენ... შარშან მოხერხდა და 8-დან 16 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის ნანა ალექსანდრის სახელობის საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი ჩატარდა. საპრიზო ფონდიც, ქართული საზომებით, საკმაოდ მაღალი იყო - 10 000 ლარი. მონაწილეთა რაოდენობაც ფრიად სოლიდური გახლდათ - ხუთი ქვეყნის 312 მოჭადრაკე. წელს ბევრად მეტს ელიან ორგანიზატორები და, შესაბამისად, საპრიზო ფონდიც 15 000 ლარამდეა გაზრდილი. ფესტივალი 7-დან 16 ივლისის ჩათვლით ჩატარდება. სისტემა შვეიცარიულია და 9 ტურად გაიმართება. დროის კონტროლი 90 წუთია მთელ პარტიაზე, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, ადგილები განაწილდება პროგრესის სისტემის დათვლით. თუეს მაჩვენებელიც თანაბარი გამოდგა, მხედველობაში მიიღება პროგრესის რეგრესი; და თუ ესეც არ გახდა საკმარისი, მაშინ საქმეში ბუჰგოლცის სისტემას ჩართავენ. გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან ნანა ალექსანდრიას სახელობის თასით, შესაბამისი ხარისხის დიპლომებით, მედლებითა და ფულადი პრიზებით.

ფულადი პრიზების ნიხრი ყველა ასაკში სხვადასხვაა: 8 წლის ჭაბუკებში პირველ ადგილზე გასული 450 ლარით დაჯილდოვდება; მეორე - 350; მესამე - 250; მეოთხე - 150 და მეხუთე - 100. 8 წლის გოგონებში ასეთი ნიხრებია: 1 - 400; 2 - 300; 3 - 200; 4 - 150; 5 - 100. ასეთივე ნიხრებია 10-წლამდელებშიც. 12 წლამდელებში (ვაჟები): 1 - 600; 2 - 450; 3 - 300; 4 - 200; 5 - 150; გოგონებში: 1 - 450; 2 - 350; 3 - 250; 4 - 200; 5 - 100. 16-წლამდელებში (ჭაბუკებში): 1 - 700; 2 - 500; 3 - 350; 4 - 200; 5 - 150; გოგონებში: 1 - 550; 2 - 400; 3 - 250; 4 - 200; 5- 150.

დაწესებულია სხვა პრიზებიც: ფესტივალის ყველა ტურნირის შედეგების გათვალისწინებით, გამოვლინდება 7 საუკეთესო მწვრთნელი მათი 10 საუკეთესო მოსწავლის შედეგების მიხედვით. ასევე დამატებით გამოვლინდება 3 საუკეთესო მწვრთნელი 8-10 და 12-16 წლამდე მოჭადრაკეთა შედეგების მიხედვით. ამ კონკურსში ქულათა დარიცხვის სისტემა შემდეგნაირია: I ადგილი - 20 ქულა; II - 17; III - 15; IV - 13; V - 11; VI - 9; VII - 7; VIII - 5; IX - 3; X - 1.

მწვრთნელებიც ფულად ჯილდოებს მიიღებენ: პირველ ადგილზე გასული 600 ლარით გამდიდრდება, მეორე ადგილოსანი 400-ით, მესამეზე 300 ლარია, მეოთხეზე 200, მეხუთეზე 150, მეექვსეზე 100 და მეშვიდეზე 50.

8-10 წლის მოსწავლეთა შედეგების მიხედვით საუკეთესო მწვრთნელი მიიღებს 300 ლარს, მეორეადგილოსანი 200-ს, მესამე 100 ლარს, 12 და 16-წლამდელებშიც იგივე ოდენობის ჯილდოებია გათვალისწინებული.

ცალკე პრიზია განკუთვნილი 14 წლამდე ასაკში საუკეთესო ვაჟისა და გოგონასთვის: ვაჟი 250 ლარს მიიღებს, გოგონა 150-ს.

ტურნირის ორგანიზატორები არიან: ფოთის ადგილობრივი თვითმმართველობა; ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ფოთის ორგანიზაცია; საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია და ფოთის 87-ე ჭადრაკისა და შაშის კომპლექსური სპორტული სკოლა "ნანა".

8 და 10 წლის ასაკის მოჭადრაკეები დაფებს დილით, 10 საათზე მიუსხდებიან, განსხვავებით პირველი ტურისა, როცა 11 საათზე ჩაირთვება საათები. 10 საათსა და 30 წუთზე ტურნირის გახსნის ცერემონიალი გაიმართება. 12 და 16 წლის მოჭადრაკეები თამაშს 15 საათზე დაიწყებენ. მეცხრე ტურის შემდეგ, 16 ივლისს, 19 საათზე, ფესტივალს საზეიმო დახურვის ცერემონიალი შედგება.

ნანა ალექსანდრიას სახელობის ფესტივალი ორგანიზატორებმა თავდაპირველად ნებისმიერი ასაკისთვის ჩაიფიქრეს, თუმცა შემდგომში გარკვეული პრობლემები შეიქმნა და მხოლოდ ასაკობრივები გაიმართება. ვიცით, რომ ფოთელებს ფესტივალის მასშტაბის გაზრდა კვლავაც გეგმაში აქვთ და იმედია, ეს მომავალ წელს მოხდება. ახლა, მთავარია არსებულის კარგად ჩატარება, რაც კარგი წინაპირობა იქნება ფესტივალის გეოგრაფიის გაზრდისა.

ზვიად შათირიშვილი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის წინ



მიხეილ ბერიშვილი

დაიბადა	12.04.87
სიმაღლე	203 სმ
ამპლუა	ფორვარდი
კლუბი	თსუ



გიორგი გულისაბედაშვილი

დაიბადა	11.02.88
სიმაღლე	188 სმ
ამპლუა	მსროლელი
კლუბი	დინამო



ლაშა ფარლალავა

დაიბადა	07.02.87
სიმაღლე	190 სმ
ამპლუა	უკანახაზ.
კლუბი	პენსაკ (აშშ)

მიხეილ ჭაჭუა

დაიბადა	10.04.87
სიმაღლე	192 სმ
ამპლუა	მსროლ./ფორ
კლუბი	აზოტი



ირაკლი ჯგერენაია

დაიბადა	11.09.88
სიმაღლე	204 სმ
ამპლუა	ფორვარდი
კლუბი	მაკაბი

გიორგი შერმადინი

დაიბადა	02.04.89
სიმაღლე	213 სმ
ამპლუა	ცენტრი
კლუბი	მაკაბი

ფინალში თუ არა, ჯგუფიდან გავიდეთ

როცა ევროპის ჩემპიონატზე ახალგზარდული ნაკრების მეტოქეთა ვინაობა გაირკვა, დავწერეთ - "ავრორას" ჩვენი 20-წლამდელებისთვის უსვრიაო. მას მერე, პირველივე შეხვედრისას ახალგზარდების მწვრთნელმა დავით უსტიაშვილმა მითხრა: "ავრორას" ჩვენთვის არ უსვრია, ევროპის პირველობაზე სუსტი ნაკრები არ არსებობს. თანაც, სლოვენიაში შარშანდელის შემდეგ მთლიანად გადახალისებული შემადგენლობით მივდივართო.

მოდით, ჯგუფებში გუნდების განლაგებას შევხედოთ და გავარკვიოთ შეიძლებოდა უფრო ძლიერი მეტოქეები შეგვხვედროდა, თუ არა:

A ჯგუფი: **სერბეთი, საფრანგეთი, უნგრეთი, სლოვენია**

B ჯგუფი: **თურქეთი, რუსეთი, საბერძნეთი, ლიტვა**

C ჯგუფი: **ესპანეთი, ისრაელი, მაკედონია, ხორვატია**

D ჯგუფი: **იტალია, ლატვია, საქართველო, ბულგარეთი**

მხოლოდ სახელებით თუ ვიმსჯელებთ, ერთის თქმა შეიძლება: საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს მოგების 50-პროცენტიანი შანსი სამ გუნდთან ექნებოდა - უნგრეთთან, ლატვიასთან და ბულგარეთთან. ყველა სხვა ქვეყნის გუნდის შანსი ჩვენსაზე მეტია, მაგრამ ეს მხოლოდ ზოგადი მსჯელობაა. შეიძლება წლეულს სულაც იტალიას ჰყავდეს ლატვიაზე სუსტი ნაკრები, ან ვთქვათ, საქართველოს ნაკრები სჯობდეს თექვსმეტივე მონაწილეს... რეალობა ევროპის ჩემპიონატის მსვლელობისას გამოჩნდება.

მწვრთნელმა ისიც თქვა შარშანდელთან შედარებით სუსტი გუნდი გვყავსო. ამის სამი მიზეზი არსებობს.

პირველი - შარშან B დივიზიონში 1986 წელს დაბადებულები თამაშობდნენ. ამ ნაკრებში ირიცხებოდნენ **ვიქტორ სანიკიძე, მანუჩარ მარკოიშვილი, გიორგი ცინცაძე, ლაშა გამყრელიძე, ბესიკ ლეჟავა, დავით საყვარელიძე**. ეს ბიჭები ერთად 2002 წელს დსთ-ს ახალგაზრდული ოლიმპიადის წინ შეიკრიბნენ. ამ ტურნირის შემდეგ ჯერ ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი ითამაშეს, შემდეგ - შესარჩევი (საუკეესო მოთამაშედ მანუჩარ მარკოიშვილი დასახელდა), ბოლოს სარაგოსაში - 18-წლამდელთა ევროპის პირველობა. მომდევნო წელს (2005) 20-წლამდელთა შორისაც 1986 წელს დაბადებულები სჭარბობდნენ (მარკოიშვილსა და სანიკიძეს ტრავმები ჰქონდათ). ... ბოლო აკორდი კი 2006 წლის B დივიზიონის ჩემპიონატი იყო, რომელიც ქართველებმა პირველ ადგილზე დაასრულეს. ხოლო ვიქტორ სანიკიძე ტურნირის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა. B ლიგაში პირველმა პოზიციამ ევროპის 2007 წლის ჩემპიონატის საგზური მოიტანა, მაგრამ ამ შეჯიბრებამ 1986-წლიანების გარეშე უნდა ჩაიაროს - 20-წლამდელებად 1987 წელს დაბადებულები ითვლებიან.

თუკი სანიკიძე-მარკოიშვილის თანატოლებმა ერთად 6 სერიოზული ტურნირი ითამაშეს, 1987-იანები ევრო-2007-ზე ერთთვიანი შეკრებისა და 5 მატჩის ამარა (ორი ირანის ჭაბუკთა ნაკრებთან, სამიც უკრაინასთან) გაემგზავრნენ.

მეორე მიზეზიც პირველთანაა გადაჯაჭვული. 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ საქართველოში ჭაბუკთა ნაკრები არ შეკრებილა (უფინანსობის გამო). შესაბამისად 1987 წელს დაბადებულებს 18-წლამდელთა შესარჩევ ტურნირებში თამაშის საშუალება არ მიეცათ. არადა, დღევანდელ ახალგაზრდულ გუნდს აშკარად მოუხდებოდა მანამდე ერთმანეთის გვერდით თუნდაც B დივიზიონში თამაში. შეთამაშების პრობლემა მეტ-ნაკლებად მოიხსნებოდა.

მესამე, რითაც 1987-წლიანთა ნაკრები 1986-იანებს ჩამოუვარდება, კლასია. თავად განსაჯეთ, შარშანდელი 20-წლამდელთა ნაკრებიდან ეროვნულ გუნდში ოთხი კალათბურთელია - მანუჩარ მარკოიშილი, ვიქტორ სანიკიძე, გიორგი ცინცაძე და ლაშა გამყრელიძე. მათგან ორი, ვიქტორი და მანუჩარი, სხვადასხვა დროს დრაფტის კანდიდატები იყვნენ.

წლევანდელ ახალგზარდულში ყველაზე გამოცდილი **რევაზ დიდიაა**, რომელიც 20-წლამდელებში შარშანაც თამაშობდა და 2004 წლის ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატზეც. დანარჩენებს საერთაშორისო გამოცდილება ან საერთოდ არა აქვთ, ან - ერთწლიანი.

ასე რომ, მწვრთნელი **დავით უსტიაშვილი** მართალი იყო, როცა ამბობდა - ევროპაზე ძალიან გაგვიჭირდებაო. სწორედ ამიტომ ახალგაზრდათა მიზანი მოკრძალებულია - A ლიგაში ადგილის შენარჩუნება.

ახლა ტურნირის ფორმატს გავეცნოთ და გავარკვიოთ, როგორ უნდა მოვახერხოთ ზედა ეშელონში დარჩენა.

16 გუნდი 4 ჯგუფადაა გაყოფილი. თითოდან მეორე ეტაპზე სამ-სამი ნაკრები გადის. მეოთხეები ლიგაში ადგილის შესანარჩუნებელ საკვალიფიკაციო მატჩებს ჩაატარებენ და მე-13-16 ადგილებს გადაინაწილებენ. B დივიზიონში მე-16 და მე-15 გუნდები დაქვეითდებიან.

როგორც ხედავთ, პირველ ეტაპზე მთავარია ჯგუფში თუნდაც მე-3 პოზიცია დავიკავოთ და მისიაც შესრულდება. მეორე ჯგუფურ ტურნირში 12 ნაკრები ორად გადანაწილდება და თითოდან 2-2 საუკეთესო ნახევარფინალებს ითამაშებს. შემდეგ ფინალი იქნება...

... ფინალში თუ არა, ჯგუფიდან გასვლა ვუსურვოთ საქართველოს ახალგზარდულ გუნდს.

ვაჟა სიმონიშვილი

D ჯგუფის კალენდარი

6 ივლისი	
16:00	საქართველო-ლატვია
23:00	იტალია-ბულგარეთი
7 ივლისი	
23:00	საქართველო-იტალია
18:15	ბულგარეთი-ლატვია
8 ივლისი	
18:15	საქართველო-ბულგარეთი
23:00	იტალია-ლატვია

2006, ავსტრია

20-წლამდელები

I ჯგუფური ეტაპი

საქართველო-ფინეთი	81:87
საქართველო-ისლანდია	89:80
საქართველო-პოლანდია	106:64

მეორე ადგილი ჯგუფში

II ჯგუფური ეტაპი

საქართველო-ჩეხეთი	98:88
საქართველო-უკრაინა	85:71
საქართველო-პოლონეთი	73:85

მეორე ადგილი ჯგუფში

1/2 ფინალი

საქართველო-ფინეთი	74:63

ფინალი

საქართველო-მაკედონია	96:88

	თ	ქ	მ	პ
ვ. სანიკიძე	8	194 (24.3)	10.9	1.4
გ. ცინცაძე	8	161 (20.1)	3.1	3.3
დ. საყვარელიძე	7	58 (8.3)	3.1	1.6
ლ. გამყრელიძე	8	66 (8.3)	2.9	6.0
რ. დიდია	8	92 (11.5)	2.9	1.1
ნ. ჩხატარაშვილი	6	17 (2.8)	1.8	0.5
მ. ჭოჭუა	5	22 (4.4)	0.2	0.6
რ. ათანელიშვილი	4	5 (1.3)	1.0	0.0
დ. გვიმრაძე	4	15 (3.8)	2.0	0
ბ. ლეჟავა	8	72 (9.0)	1.8	1.1
გ. გაფრინდაშვილი	3	0	0.7	0
მ. ბერიშვილი	2	0	0	0

2005, ბულგარეთი

20-წლამდელები

ჯგუფური ეტაპი

საქართველო-ისლანდია	85:58
საქართველო-ფინეთი	73:58
საქართველო-ირლანდია	88:64
საქართველო-სლოვაკეთი	71:65
საქართველო-პოლონეთი	66:93

მეოთხედფინალი

საქართველო-ბელგია	89:78

ნახევარფინალი

საქართველო-უნგრეთი	69:71

	თ	ქ	მ	პ
გ. ცინცაძე	8	124 (15.5)	38	25
დ. საყვარელიძე	7	89 (12.7)	26	11
ვ. მდივანი	8	92 (11.5)	74	4
დ. იმნაძე	7	73 (1084)	36	1
გ. ჩაველიშვილი	4	25 (6.3)	7	1
გ. მამაცაშვილი	5	31 (6.2)	8	1
ტ. მაშაკიძე	8	49 (6.1)	11	5
ლ. ფარლალავა	8	46 (5.8)	21	5
ნ. ჩხატარაშვილი	8	33 (4.1)	28	5
ლ. გამყრელიძე	8	31 (3.9)	25	19
ს. ათუაშვილი	6	18 (3.0)	22	1

2002, საბერძნეთი

20-წლამდელები

ჯგუფური ეტაპი

საქართველო-გერმანია	96:90
საბერძნეთი-საქართველო	111:91
საქართველო-ინგლისი	90:60
საქართველო-იუგოსლავია	52:71
საქართველო-პორტუგალია	71:67

მეოთხე ადგილი ჯგუფში

	თ	ქ	მ	პ
ზ. ფაჩულია	4	86 (21.5)	39	2
ნ. ცქიტიშვილი	5	81 (16.2)	44	5
დ. უგრეხელიძე	5	45 (9.0)	37	3
ლ. ლოსაბერიძე	5	42 (8.4)	10	0
გ. მარკოიშვილი	5	34 (6.8)	3	2
ქ. ტულუში	5	28 (5.6)	11	4
ზ. ბაბიაშვილი	5	27 (5.4)	19	2
ირ. კეიდია	5	23 (4.6)	5	1
ლ. შანიძე	4	16 (4.0)	7	2
შ. ხეცურიანი	5	15 (3.0)	7	4
გ. ბერიშვილი	5	3 (0.6)	5	1
ბ. სუდაძე	1	0	0	0

1998, ბულგარეთი

22-წლამდელები

ჯგუფური ეტაპი

საქართველო-რუმინეთი	79:83
ბულგარეთი-საქართველო	92:82
საქართველო-საბერძნეთი	78:114
საქართველო-ისრაელი	66:97

მეხუთე ადგილი ჯგუფში

	თ	ქ	მ	პ
ვ. ნაცვლიშვილი	5	135 (27.0)	51	2
ლ. ძარაგაკი	4	85 (21.3)	13	4
ირ. მაისურაძე	5	55 (11.0)	3	8
ვ. ოთიურიძე	5	54 (10.8)	15	8
ირ. ხოშტარია	5	39 (7.8)	4	2
თ. ნინიაშვილი	1	3 (3.0)	0	0
ვ. მეჭურჭლიშვილი	4	7 (1.8)	9	0
შ. მაჭარაძე	3	2 (0.7)	1	1
ვ. იაშვილი	5	3 (0.6)	2	0
დ. კვაჭაძე	2	0	0	0

1996, ესტონეთი

22-წლამდელები

ჯგუფური ეტაპი

საქართველო-ხორვატია	75:93
ესტონეთი-საქართველო	69:70
საქართველო-ისრაელი	83:86
საქართველო-სლოვაკეთი	78:84
საქართველო-საფრანგეთი	63:84
საქართველო-დანია	96:82

მეექვსე ადგილი ჯგუფში

	თ	ქ	მ	პ
ლ. ძარაგაკი	6	98 (16.3)	32	7
ვ. ნაცვლიშვილი	6	86 (14.3)	39	4
დ. ბერძენიშვილი	6	77 (12.8)	23	2
რ. გოგობერიშვილი	5	64 (12.8)	17	7
ვ. ოთიურიძე	5	30 (6.0)	17	4
ა. ქლენტი	6	28 (4.7)	15	7
ირ. ხოშტარია	6	19 (3.2)	6	4
ვ. ბეჟანიშვილი	6	18 (3.0)	12	0
ვ. კილაძე	6	18 (3.0)	5	1
ირ. მაისურაძე	6	17 (2.8)	8	3
ა. დავითულიანი	6	9 (1.5)	2	2
ჯ. ანიკაშვილი	2	1 (0.5)	2	0

1994, უნგრეთი

უნგრეთი-საქართველო	101:69
საქართველო-გერმანია	40:84
საქართველო-შვედეთი	79:72
საქართველო-რუსეთი	67:119

	თ	მ	წ
1. რუსეთი	4	4	0
2. გერმანია	4	3	1
3. უნგრეთი	4	2	2
4. საქართველო	4	1	3
5. შვედეთი	4	0	4

შენიშვნა: 2002 წლამდე ახალგაზრდებად 22-წლამდელები ითვლებოდნენ.

რევაზ დიდია

დაიბადა	26.12.87
სიმაღლე	204 სმ
ამპლუა	ფორვარდი
კლუბი	აზოტი

ლექსო ლაფანაშვილი

დაიბადა	13.03.87
სიმაღლე	196 სმ
ამპლუა	მსროლელი
კლუბი	დინამო



ლევან ცეკვავა

დაიბადა	15.10.89
სიმაღლე	189 სმ
ამპლუა	გამთამ.
კლუბი	აზოტი



გიორგი გაფრინდაშვილი

დაიბადა	25.03.88
სიმაღლე	196 სმ
ამპლუა	გამთამაშ.
კლუბი	ასკ (ლატვია)

რიჩარდ მათიაშვილი

დაიბადა	01.01.89
სიმაღლე	207 სმ
ამპლუა	ცენტრი
კლუბი	თსუ

ბექა წივწივაძე

დაიბადა	06.01.89
სიმაღლე	188 სმ
ამპლუა	გამთამაშ
კლუბი	აკად. (ლიტ)

მითითებულია კლუბები, რომლებშიც კალათბურთელებმა გასული სეზონი ჩაატარეს

ოლიმპიზმი

სოჭი 2014

ზამთრის ოლიმპიადას სოჭი უმასპინძლებს

ქალაქი, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინათ, საქართველოს ნაწილი იყო, მაგრამ ახლა ვაიმამულიშვილთა წყალობით, ჩვენი ჩრდილოელი "კეთილ"მეზობლის ტერიტორიას ამშვენებს, 2014 წლის წამთრის ოლიმპიადას უმასპინძლებს. ასე გადაწყვიტა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ-ის) სესიამ, რომელსაც ცენტრალური ამერიკის პატარა ქვეყანა, გვატემალა მასპინძლობდა.

ოლიმპიადის მასპინძლობისთვის ბრძოლაში, სოჭს მეტოქეობას ავსტრიის ზალცბურგი და სამხრეთ კორეის პიონჩანი უწევდა. წინასწარი გამოკითხვებით, გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი კორეელებს უნდა ჰქონოდათ, მაგრამ კენჭისყრამ სხვაგვარად გადაწყვიტა.

კენჭისყრის შედეგებზე გარკვეული ზეგავლენა იქონია რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმირ პუტინის** გამოსვლამ. მან სამ ენაზე - ინგლისურად, ფრანგულად და ესპანურად მიმართა დამსწრე საზოგადოებას, რომელიც მისი პოლიგლოტური ნიჭით მოიხიბლა.

პირველი კენჭისყრის შემდეგ, ოლიმპიადის მასპინძლობისთვის ბრძოლას ზალცბურგი გამოეთიშა, რომელიც გვატემალას სესიის დაწყებამდე, ლიდერად მოიხსენიებოდა. პირველ კენჭისყრაზე პიონჩანმა ყველაზე მეტი, 36 ხმა მიიღო, სოჭს 34 ხმა ერგო, ზალცბურგს კი - 25.

განმეორებით კენჭისყრაში ავსტრიული ქალაქი აღარ მონაწილეობდა. ჰოდა, მის მხარდამჭერთა უმეტესობამ სწორედ სოჭის მხარე დაიჭირა, რამაც გამარჯვება რუსულ ქალაქს მოაპოვებინა. საბოლოოდ, სოჭს 51 ხმა ერგო, პიონჩანს კი - 47.

სოკ-ის პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ** რომ კენჭისყრის საბოლოო შედეგები გამოაქვეყნა, რუსთა დელეგაცია სიხარულით ცას ეწია. ამ დროს მათი პრეზიდენტი მართლაც ცაში იმყოფებოდა - პუტინი კენჭისყრის შედეგების გამოცხადებას არ დაელოდა და სოჭის გამარჯვების შესახებ თვითმფრინავში შეიტყო.

როგეს თქმით, სწორედ პუტინის გამოცვლამ იქონია კენჭისყრის შედეგებზე გადამწყვეტი გავლენა. ჩვენ დავრწმუნდით, რომ სოჭის კანდიდატურას მთავრობისგან სერიოზული მხარდაჭერა ჰქონდა, ამას კი ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქის არჩევისას ყოველთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებაო, - განაცხადა როგემ.

აღსანიშნავია, რომ მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად, ზუსტად 51 ხმა იყო საჭირო. პირველ კენჭისყრაში სულ 97 დელეგატი მონაწილეობდა, მაგრამ რაც ზალცბურგი გამოვარდა, კენჭისყრაში მონაწილეთა რიგებს ერთი ავსტრიელი და ორი გერმანელი დელეგატი შეემატა. სოჭს ერთით ნაკლები ხმაც რომ მიეღო, კენჭისყრა გამეორდებოდა.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის წამთრის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის ბრძოლის მარათონის დასაწყისში, სოჭი აუტსაიდერთა შორის იყო. ამას კი რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. ჯერ ერთი, ეს ქალაქი პირველად აცხადებდა პრეტენზიას ოლიმპიადის მასპინძლობაზე, პიონჩანსა და ზალცბურგს კი საკმაო გამოცდილება ჰქონდათ დაგროვილი. მეორეც, ამ ორისგან განსხვავებით, სოჭში სპორტის წამთრის სახეობათა ინფრასტრუქტურა, პრაქტიკულად, არ არსებობს და ყველაფერი თავიდანაა ასაშენებელი, როცა ზალცბურგს ახლავე შეუძლია ოლიმპიადის უმაღლეს დონეზე მასპინძლობა, პიონჩანში კი მხოლოდ რამდენიმე სპორტული არენაა ასაშენებელი.



კორეული ქალაქი 2010 წლის ოლიმპიადის მასპინძლობისთვისაც იბრძოდა, მაგრამ მხოლოდ სამი ქულა დათმო კანადის ვანკუვერთან. ნაწილობრივ ამ ფაქტითაც აიხსნებოდა ის, რომ ბევრი ანალიტიკოსი ამჯერად უმთავრეს ფავორიტად სწორედ პიონჩანს მოიხსენიებდა.

გვატემალაში ჩატარებული სესიის კენჭისყრის შედეგებმა, კორეელები სახტად დატოვა. *"ჩვენ ყველაფერი ისე გავაკეთეთ, როგორც სოკ-ი გვავალებდა. ვერ გამიგია, რა მოხდა. ისეთი გრძნობა მაქვს, რომ თითქოს, ზურგში ვილაცამ დანა ჩაგვარტყა"*, - განაცხადა პიონჩანის განაცხადის განვითარების განყოფილების დირექტორმა **ძეონ იონ-კვანმა**. მისი თქმით, რუსებს ძალიან გაუჭირდებათ ყველა არენის დროულად აშენება.

არანაკლებ გაოცებულები დარჩნენ ავსტრიელებიც. სხვათა შორის, 2010 წლის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის ბრძოლაშიც ზალცბურგმა მესამე ადგილი დაიკავა. *"თუ ოლიმპიადის მასპინძლობის უფლების მისაღებად მხოლოდ ქვეყნის გავლენა, პოლიტიკა და ფულია საჭირო, მაშინ ახლავე შემიძლია ვთქვა, რომ ზალცბურგს აღარასოდეს ექნება შანსი. ახლაც დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი კონცეპცია საუკეთესო იყო"*, - განაცხადა ავსტრიის პრემიერ მინისტრმა **ალფრედ გუზენბაუერმა**.

როგესი არ იყოს, რუსმა მოცურავემ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ევგენი პლუშენკომ** განაცხადა, რომ სოჭის გამარჯვება პუტინის გამოსვლამ განაპირობა. *"მან დეპუტატებს სამ ენაზე მიმართა და ამით ბევრი მათგანი მოხიბლა, ჩვენ კი ენერგია და იმედი შეგვძინა. მან სოჭის საგანაცხადო კომიტეტის მიერ გაწეული შრომა დააგვირგვინა"*.

სოჭის პროექტით, დახურული არენები უშუალოდ ქალაქსა და მის შემოგარენში აშენდება. ის არენები კი, რომლებიც სიცივესა და რა თქმა უნდა, თოვლს მოითხოვს, სოჭის მახლობელ მთიან რეგიონში (კრასნაია პოლიანა) განთავსდება. სხვათა შორის, პუტინი სამთო თხილამურების ტრფიალი ყოფილა და შვებულებას ხშირად ატარებს კრასნაია პოლიანაში.

შეგახსენებთ, რომ რუსეთში (საბჭოთა კავშირში) ოლიმპიადა აქამდე მხოლოდ ერთხელ, 1980 წელს ჩატარდა და მაშინაც, თამაშებში ბოიკოტის გამო, რიგი წამყვანი სახელმწიფოები არ მონაწილეობდნენ. ისე კი, ქვეყანა პირველად უმასპინძლებს ზამთრის ოლიმპიადას.

მერაბ ლორთქიფანიძე

TV სპორტი

6 ივლისი. პარასკევი

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:15 უიქენდის მატჩების ანონსი.
12:25 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. კოლუმბია-აშშ.
14:15 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-პარაგვაი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 ტოქ-შოუ - 2:1.
16:55 გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-პალერმო.
18:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:00 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
19:30 საფეხბურთო კლუბი.
20:15 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. კოლუმბია-აშშ.
22:05 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-პარაგვაი.
23:55 სასტვენი.
00:25 საფეხბურთო კლუბი.

SPORT 1 (უკრაინა)

06:25 კრივი. ნოკაუტების ჟამი.
07:15 მძლეოსნობა.
07:55 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. სან ხოსე-ნეშვილი.
09:40 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ჰანოვერი.
11:20 ჰოკეი.
11:45 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-სამპდორია.
13:30 ხელბურთი.
14:05 ცურვა. Fina-ს გრან-პრი. სლოვენია.
15:40 ხელბურთი.
16:05 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. ნიუ იორკი-ჩიკაგო.
17:50 ექსტრემალური სპორტი.
18:20 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
18:50 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ბაიერნი.
20:35 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. დალასი-ვანკუვერი.
22:20 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. ნიუ იორკი-დინამო.
00:10 კრივი. რინგ-საიდი.
01:10 ხელბურთი.
01:30 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ჰანოვერი.
03:10 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-სამპდორია.
04:55 ცურვა. Fina-ს გრან-პრი. სლოვენია.

EUROSPORT

10:30 აფროსნობა.
10:45 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში.
11:15 ცხენოსნობა. მსოფლიოს საცხენოსნო თამაშები. კონკური. აახენი. გერმანია.
12:15 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ავსტრია-კანადა. კანადა.
13:15 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. მექსიკა-პორტუგალია. კანადა.
14:30 ცხენოსნობა. მსოფლიოს საცხენოსნო თამაშები. კონკური. აახენი. გერმანია (LIVE).
16:30 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ზაგრები. ხორვატია.
17:30 ცხენოსნობა. მსოფლიოს საცხენოსნო თამაშები. კონკური. აახენი. გერმანია (LIVE).
18:45 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. მექსიკა-პორტუგალია. კანადა.
20:00 ფარიკაობა. ევროპის ჩემპიონატი. [illegible] (LIVE).
22:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მონაწილეების პრეზენტაცია (LIVE).
23:30 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. პოლონეთის გრან-პრი.
00:30 ექსტრემალური სპორტი.
01:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-ჩ. კორეა. კანადა (LIVE).
03:00 მულტისპორტი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). აშშ-ის საფეხბურთო ლიგა. რეგულარული ჩემპიონატი.
13:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ავსტრია-კანადა. კანადა.
17:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. მექსიკა-პორტუგალია. კანადა.
18:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). აშშ-ის საფეხბურთო ლიგა. რეგულარული ჩემპიონატი.
19:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:30 მულტისპორტი.
22:00 ახალი ამბები.
22:30 რაგბი. IRB. ერთა თასი. ბუქარესტი. რუმინეთი.
23:30 კიკბოქსინგი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. იტალია-იაპონია. იტალია (LIVE).
02:15 ახალი ამბები.
02:30 პრო-რესტლინგი. იაპონიის ლიგა.
03:45 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. პოლონეთი-ს. კორეა. კანადა (LIVE).

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

კოპა ამერიკა	
კოლუმბია-აშშ	1:0
არგენტინა-პარაგვაი	გვიან დასრულდა
ამხანაგური მატჩები	
იანგ ბოიზი-ზალცბურგი	0:1
ბაზელი-სელტიკი	0:1
კერნტენი-ბორუსია (მ)	1:3
ვოლფსბურგი-მტკ	1:2
შველეთის თასი	
ჰიოტებორგი-გეფლე	3:0

ავტოსპორტი

ფორმულა 1

ფერარიმ მაკლარენის ჯაშუში იპოვნა

დღეისთვის, ფორმულა 1-ის ორ ყველაზე ძლიერ გუნდს, "მაკლარენსა" და "ფერარის" შორის ბრძოლა არამარტო ტრასაზე, არამედ მის მიღმაც მიმდინარეობს.

ფორმულა 1-ში მორიგი სკანდალი აგორდა. ამის მიზეზი გახდა ბრიტანული გუნდის განცხადება იმის შესახებ, რომ მისი ერთ-ერთი თანამშრომელი ტექნიკურ ჯაშუშობაში ამხილეს. ეს პიროვნება უკანონოდ იღებდა ინფორმაციას ძირითადი კონკურენტისგან, "ფერარისგან". ჯერჯერობით, დაუზუსტებელი ინფორმაციით, სკანდალის ცენტრში მოექცა "მაკლარენის" შეფ-დიზაინერი **მაიკ კოფლენი**.

დღეისთვის ცნობილია მხოლოდ ის, რომ ექვმიტანილის სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ალმოჩენილ იქნა საიდუმლო დოკუმენტები, რომლებიც იტალიური საჯინიბოს საკუთრებას წარმოადგენს.

ჟურნალისტებმა დაადგინეს, რომ კოფლენს, რომელიც "მაკლარენში" 2002 წლის აგვისტოდან მუშაობს, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონია "ფერარის" ერთ-ერთ ინჟინერთან, **ნაიჯელ სტეპნისთან**, რომელსაც ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან იცნობს.

ბუნებრივია, იტალიური გუნდი მომხდარზე რეაგირებას აპირებს. "ფერარიში" აცხადებენ, რომ ქალაქ მოდენას სასამართლოში ნაიჯელ სტეპნისა და "მაკლარენის" ჩინოვნიკის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრება. გარდა ამისა, ანალოგიური სარჩელი ინგლისურ სასამართლოშიც შევა. სწორედ ამ უკანასკნელმა გასცა ჩხრეკის ორდერი, რომელმაც ჯაშუშობის ფაქტი გამოააშკარავა.

გულხელდაკრეფილი არც "მაკლარენი" დარჩენილა. შპიონაჟში დადანაშაულებული კოფლენი მაშინვე გაათავისუფლეს თავისი პოსტიდან.

"ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, აპრილის ბოლოს, ჩვენმა თანამშრომელმა "ფერარის" წარმომადგენლისგან ტექნიკური დოკუმენტები მიიღო. ჯერჯერობით, დამამტკიცებელი საბუთები არ გვაქვს. მაგრამ ჩვენ გაჩერებას არ ვაპირებთ და გამოძიებასთან ბოლომდე ვითანამშრომლებთ. რაც შეეხება ჩვენს თანამშრომელს, ის სამუშაოდან გამოძიების ბოლომდე არის დათხოვილი", - წერია "მაკლარენის" განცხადებაში.

ეს სკანდალი "ფერარიდან" სტეპნის განთავისუფლებას დაემთხვა. თავად ეს ბრიტანელი შვებულებაშია და ევროპაში არ იმყოფება. ის აქტიურად აპირებს თავისი შელახული პრესტიჟის აღდგენას და რამდენიმე პრესკონფერენციის ჩატარება აქვს დაგეგმილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით უცნობია, თუ რა ბრალი წაუყენა სასამართლომ სტეპნის. ერთ-ერთ ვერსიად განიხილება საბოტაჟი - თითქოს სტეპნის მონაკოს გრან-არის წინ "ფერარის" ბოლიდები უნდა დაეზიანებინა. ამასთან, ხშირად ახსენებენ საიდუმლო თეთრ ფხვნილს, რომელიც **ფელიპე მასას** ბოლიდის საწვავის ავზში რბოლის წინ ალმოაჩინეს.

ფერარის ბანაკში გამყიდველი ყოფილა

ველოსპორტი

ტურ დე ფრანსის წინ

პეტაკი ტურზე ვერ გამოვა



ალესანდრო პეტაკი

იმის გამო, რომ იტალიის ოლიმპიური კომიტეტი **ალესანდრო პეტაკის** დოპინგის გამოყენებაში ადანაშაულებს, იტალიურ-გერმანულ გუნდ "მილრამის" ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო სპრინტერი ტურ დე ფრანსზე არ იასპარეზებს.

"მილრამმა" პეტაკის დროებით თავისი წევრობა მას შემდეგ შეუჩერა, რაც ცნობილი გახდა, რომ ჯირო დ'იტალიას დროს მისგან აღებულ ერთ-ერთ სინჯში აკრძალულ ნივთიერება სალბუტამოლის ჭარბი რაოდენობა აღმოჩნდა. პეტაკის ოფიციალური ცნობა აქვს იმისა, რომ ამ ნივთიერების შემცველ პრეპარატს ასთმის სამკურნალოდ იყენებს. მაგრამ, იტალიის ოლიმპიური კომიტეტის დოპინგსაწინააღმდეგო სამსახურის სპეციალისტთა მტკიცებით, პეტაკის სინჯში იმაზე მეტი სალბუტამოლი აღმოჩნდა, ვიდრე ეს სამკურნალო პრეპარატის გამოყენების შემთხვევაში იყო შესაძლებელი.

მოკლედ, იტალიის ოლიმპიური კომიტეტის დოპინგსაწინააღმდეგო სამსახურის ბრალმდებელი **ეტორე ტორი**, იტალიის ველოსპორტის ფედერაციისგან მოითხოვს, რომ პეტაკის ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯოს. რა თქმა უნდა, ველომრბოლს აპელირების უფლება ექნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისი საქმე დიდხანს გაგრძელდება. ჰოდა, "მილრამმაც" გადაწყვიტა, რომ სანამ ყველაფერი გაირკვეოდეს, იტალიელის ნაცვლად, ტურზე უკრაინელი **ანდრიი გრივკო** გაიყვანოს. სპრინტში კი "მილრამის" ლიდერობას ისევ გერმანელი ვეტერანი **ერიკ ცაბელი** გასწევს, ვინც ცოტა ხნის წინათ აღიარა, რომ რამდენიმე წლის წინათ, როცა "დოიჩე ტელეკომის" წევრი იყო, დოპინგი რამდენჯერმე გამოიყენა.

სხვათა შორის, ჯიროს დროს პეტაკიმ ხუთი სინჯი (ხუთი ეტაპის მოგების შემდეგ) ჩააბარა, მაგრამ სალბუტამოლის ჭარბი დოზა მხოლოდ ერთში აღმოაჩნდა.

შეგახსენებთ, რომ დოპინგის გამო, წლევანდელ ტურზე ვერ იასპარეზებს მისი შარშანდელი ჩემპიონი, ამერიკელი **ფლოიდ ლენდისი**, რომლის საქმესაც მოგვიანებით განიხილავს აშშ-ის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტო. ოპერასიონ პუერტოში გარეულ იტალიელ **ივან ბასოს** (ჯიროს შარშანდელი ჩემპიონია) კი უკვე მიესაჯა ორწლიანი დისკვალიფიკაცია. დაკიდევ, დოპინგის საქმეებში მხილებულ იტალიელ ექიმ **მიქელე ფერარისთან** კავშირის გამო, იტალიის ოლიმპიური კომიტეტი ჯიროს მოქმედი ჩემპიონის, **დანილო დი ლუკასა** და კიდევ ერთი იტალიელის, **ედი მაცოლენის** საქმესაც სწავლობს.

რაც შეეხება პეტაკის, შეგახსენებთ, რომ მან 2003 წლის ტურზე ოთხი ეტაპი მოიგო, მაგრამ შარშან საფრანგეთში მუხლის ტრავმის გამო არ უასპარეზია.

მერაბ ლორთქიფანიძე

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ფიშერი ლეიკერსს უმიზნებს

"იუტა ჯაზის" მცველი **დერეკ ფიშერი** "ლოს ანჯელეს ლეიკერსში" აპირებს გადასვლას. და ეს მიუხედავად იმისა, რომ მას მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს "ჯაზმენებთან".

"გვესმის, რომ დერეკს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული "იუტასთან". თუმცა ჩვენ არ გაგვიჭირდება მისი გადაბირება, რადგან თავად ფიშერს აქვს "ლეიკერსში" თამაშის დიდი სურვილი", - განაცხადა "ლეიკერსის" წარმომადგენელმა **მაიკ ბრეშაჰანმა**.

შეგახსენებთ, რომ კალათბურთელი "იუტაში" გადასვლამდე სწორედ "ლეიკერსის" ღირსებას იცავდა და ამ გუნდთან ერთად NBA-ის ჩემპიონიც გახდა. ფიშერს "იუტასთან" 3-წლიანი და 21-მილიონიანი კონტრაქტი აკავშირებს.

ვარეჟაოს ულტიმატუმი

ბრაზილიელმა ფორვარდმა **ანდერსონ ვარეჟაომ** თავის კლუბს, "კლივლენდ კავალიერზს" მკაცრი ფინანსური პირობები წაუყენა.

წლევანდელი ფლეი ოფის ფინალისტმა, კალათბურთელს წელინადში 6 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვარეჟაო გუნდს დატოვებს და თავისუფალი აგენტების ბაზარზე გავა - იტყობინება NBA-ის ოფიციალური ვებგვერდი.

ციბონა ახალგაზრდა მწვრთნელს ირჩევს

ზაბრეშის "ციბონას" ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. სახელოვანმა კლუბმა ორწლიანი კონტრატი გააფორმა 39 წლის **იოსიპ ვრანკოვიჩთან**.

ამ სპეციალისტს სამწვრთნელო სარბიელზე წლევანდელ სეზონში ჰქონდა დებიუტი. ის ბოსნიის "შიროკის" წვრთნიდა და ეს გუნდი ქვეყნის ჩემპიონი გახადა.

"ციბონის" მთავარი მწვრთნელის პოსტი სულ ცოტა ხნის წინათ გახდა ვაკანტური, როცა ხორვატული კლუბი **დრაჟენ ანზულოვიჩმა** დატოვა და რუსული "ურალ-გრეიტი" ჩაიბარა.

ფორტიტუდოს მაცონი გაწვრთნის

ბოლო 14 წლის განმავლობაში ჩატარებული ყველაზე სუსტი სეზონის შემდეგ, იტალიის "ფორტიტუდოს" ხელმძღვანელობამ მწვრთნელის შეცვლა გადაწყვიტა. მომავალი სეზონისთვის, ბოლონიურ კლუბს 41 წლის იტალიელი **ანდრეა მაცონი** მოამზადებს.

აქამდე მაცონი სამი წელი საბერძნეთის "არისს" ავარჯიშებდა და ეს კლუბი 2006 წელს ULEB-ის თასის ფინალში გაიყვანა, შარშან კი, "არისი" ევროლიგის გათამაშების 16 საუკეთესო გუნდში მოხვდა. გარდა ამისა, ბერძნებმა ქვეყნის ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავეს და ევროლიგაში ადგილი შეინარჩუნეს.

ნავარო NBA-ში მიდის

ესპანელის "ბარსელონამ" თავისი ლიდერის **ხუან კარლოს ნავაროს** თხოვნა დააკმაყოფილა და მას ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გადასვლის ნება დართო.

"ხუან კარლოსი ახლოა თავისი ოცნების ასრულებასთან, რომელიც NBA-ის რომელიმე კლუბთან კონტრაქტის გაფორმებაში გამოიხატება" - წერია კატალონური კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე.

"ბედნიერი ვარ, რომ კლუბმა მხარი დამიჭირა. მინდა უდიდესი მადლობა ვუთხრა პრეზიდენტ ხოან ლაპორტასა და "ბარსას" გულშემატკივრებს. ყოველთვის მჯეროდა, რომ ოდესღაც ოკეანის გაღმა გავემგზავრებოდი სათამაშოდ", - ემოციებს ვერ მალავს ხუან კარლოს ნავარო.

შეგახსენებთ, რომ ნავაროს შარშანაც შეეძლო NBA-ში გადასვლა, მაგრამ მისი ტრანსფერი "ბარსელონის" შეფობამ დაბლოკა.

იანაკისის გაფართოებული შემადგენლობა

საბერძნეთის ნაკრები ესპანეთში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას იწყებს.ამ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **პანაიოტის იანაკისმა** გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა. მან საწვრთნელ შეკრებაზე 18 კალათბურთელი მიიწვია, რომელთაგან, საბოლოოდ 12 მოთამაშეს შეარჩევს.

ბერძნების შემადგენლობა ასე გამოიყურება: **დიმიტრის დიამანტიდისი** (196 სმ, პანათინაიკოსი), **ვასილის სპანულისი** (193 სმ, ჰიუსტონი, NBA), **ნიკოს ცისისი** (195 სმ, ცსკა, რუსეთი), **ტეოდოროს პაპალუკასი** (200 სმ, ცსკა, რუსეთი), **მანოლის პაპამაკარიოსი** (ოლიმპიაკოსი), **ნიკოს ჰაციერტასი** (195 სმ, პანათინაიკოსი), **სტრატოს პეპეროგლუ** (პანათინაიკოსი), **ვასილეადისი** (მალაგა, ესპანეთი), **პანაიოტის ვასილოპულოსი** (202 სმ, ოლიმპიაკოსი), **მიხალის კაკიუცისი** (206, ბარსელონა, ესპანეთი), **ანტონის ფოცისი** (დინამო, რუსეთი), **დიმოს დიკუდისი** (207 სმ, პანათინაიკოსი), **კოსტას ცარცარისი** (პანათინაიკოსი), **მიხალის პელეკანოსი** (პანელინიოსი), **ლაზაროს პაპადოპულოსი** (210 სმ, რეალი, ესპანეთი), **სოფოკლეს შორცანიდისი** (206 სმ, ოლიმპიაკოსი), **იანის ბურუსისი** (212 სმ, ოლიმპიაკოსი), **ანდრეას გლინიადაკისი** (215 სმ, ბოლონია, იტალია).

შეგახსენებთ, რომ საბერძნეთის ნაკრები ევროპის მოქმედი ჩემპიონია. ჩემპიონატამდე იანაკისის გუნდი 6 ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. მისი მეტოქეები იქნებიან სლოვენია, საფრანგეთი, სერბეთი, იტალია, ლიტვა და ესპანეთი.

ფორმულა 1

შუმახერს ტოიოტაში დარჩენა უნდა

გერმანული გამოცემა Munich TZ იტყობინება, რომ გერმანელ პილოტ **რალფ შუმახერს** "ტოიოტაში" დარჩენა აქვს განზრახული. ავტომრბოლი მზად არის, ხელფასი მოიკლოს იმის სანაცვლოდ, რომ გაისადაც იაპონური საჯინიბოს ბოლიდით იასპარეზოს.

მოქმედი კონტრაქტის მიხედვით, რალფი წელიწადში 22 მილიონ დოლარს იღებს და ამ მაჩვენებლით მხოლოდ **კიმი რაიკონენსა** ("ფერარი") და **ფერნანდო ალონსოს** ("მაკლარენი") ჩამორჩება.

ᲐᲮᲚᲐᲮᲔᲗᲘ

ტოსკალამ ტორონტო აირჩია

"ტორონტო მეიპლ ლივზმა" ახალი სეზონისთვის მაღალი კლასის მეკარე დაიმატა. კანადურმა კლუბმა "სან ხოსე შარქისიდან" ფინელი **ვესა ტოსკალა** აიყვანა.

ამ გოლკიპერმა "ზვიგენების" რიგები, რუს მეკარე **ევგენი ნაბოკოვთან** კონკურენციის გამო დატოვა. ტოსკალა კონტრაქტის მიხედვით 8 მილიონ დოლარს მიიღებს.

რიონიკი ლიგას ემშვიდობება

ლეგენდარულმა ფორვარდმა **ჯერემი რიონიკმა** კარიერის დასრულება გადაწყვიტა. Philadelphia Inquirer-ის ინფორმაციით, ჰოკეისტმა ეს გადაწყვეტილება ოთხშაბათს მიიღო.

რიონიკმა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 18 სეზონი გაატარა, გაიტანა 495 გოლი და 675 შედეგიანი პასი გააკეთა.

ჯერემი NHL-ში "ჩიკაგოს", "ფილადელფიის", "ლოს ანჯელესის" და "ფინიქსის" ღირსებას იცავდა. თავდამსხმელი 2002 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ამერიკის ნაკრების შემადგენლობაში ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა.



ანა ივანოვიჩი

უიმბლდონი რუსების გარეშე დარჩა

გუშინ უიმბლდონზე, ამინდმა ჩოგბურთელებს თამაში მანამ აცალა, სანამ ქალთა ბადის ბოლო ორი ნახევარფინალისტის ვინაობა გაირკვეოდა, კაცები კი მეოთხედფინალისტთა ვაკანსიებს ბოლომდე შეავსებდნენ. მაგრამ როგორც კი ძლიერი სქესის მეოთხედფინალების ჯერი დადგა, მაშინვე წვიმა წამოვიდა.

გუშინდელი დღე იმითაც იყო საინტერესო, რომ ტურნირი მისმა ყველა რუსმა მონაწილემ დატოვა. ქალთა ბადეში შემორჩენილი ერთადერთი რუსი - **სვეტლანა კუზნეცოვა** ამერიკელმა **ვენუს უილიამსმა** დაამარცხა, ვინც წინა ეტაპზე ტურნირი მის ყოფილ ჩემპიონ **მარია შარაპოვას** დაატოვებინა. კაცების მეოთხე წრე კი გადაულახავ ბარიერად იქცა **მიხაილ იუჟნისა** და **ნიკოლაი დავიდენკოსთვის**. პირველს მძიმედ მოუგო საფრანგეთის ღიას ესპანელმა ჩემპიონმა **რაფაელ ნადალმა**, მეორეს კი ასევე დაძაბულ პაექრობაში გაუსწორდა კვიპროსელი **მარკოს ბაღდატისი**.

ვენუსი, ტურნირის დასაწყისში რომ წუწუნებდა, ფორმაში არ ვარო, მეტოქეებს ერთმანეთის მიყოლებით უსწორდება და არაა გამორიცხული, ფინალში კიდევ ერთხელ ვიხილოთ. ამისათვის კი მან ნახევარფინალში სერბი **ანა ივანოვიჩი** უნდა დაამარცხოს, რომელმაც დაძაბულ პაექრობაში თავის ჩეხ კბილა **ნიკოლ ვაიდიშოვას** აჯობა.

ვენუსმა თითქოს, შარაპოვასთან შეხვედრა გააგრძელაო. ის დასაწყისიდანვე აგრესიულად მოქმედებდა. როგორც ყოველთვის, ძლიერად ანოდებდა, სწრაფად გადაადგილდებოდა და თუ სჭირდებოდა, არც ბადესთან გასვლებს ერიდებოდა, რომლებსაც სმეშით ასრულებდა.

"რაც უფრო ძლიერი მეტოქე მყავს, მით უკეთესად ვთამაშობ. თითქოს, წინა ეტაპებზე ამათთან სათამაშოდ ვემზადებოდი. სანამ ბურთი ჩემთან მოაღწევს, მანამ ვიცი, სად და რა ძალით უნდა დავარტყა, გუმანით ვხვდები, კორტის რომელ მხარეს უფრო გაუჭირდება მისი მოგება ჩემს მეტოქეს. მოკლედ, საკუთარ შესაძლებლობებში ბოლომდე დარწმუნებული ვარ", - განაცხადა უილიამსმა, ვისაც უიმბლდონი სამჯერ აქვს მოგებული.

როგორი თავდაჯერებულიც უნდა იყოს, ვენუსმა თავის მოწოდებაზე ოთხი მატჩ პოინტი გაანიავა, მაგრამ შემდეგ მეტოქეს შეცდომა დააშვებინა და თამაშსაც ასე დაუსვა წერტილი. შეხვედრის შემდეგ ვენუსმა განაცხადა, პირველი სამი ქულა მეტისმეტად იოლად მოვიპოვე, რის შემდეგაც, თავს მოდუნების უფლება მივეცი და ყველაფერი ამის გამო მოხდაო.

არანაკლებ საინტერესო გამოდგა ივანოვიჩისა და ვაიდიშოვას დაპირისპირება, რაც გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ჩეხმა პირველივე გეიმში მიაღწია ბრეიკს, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ პირველი ხელი თავის სასარგებლოდ დაესრულებინა.

მოგვიანებით, ივანოვიჩმა განაცხადა, ცენტრალურ კორტზე პირველად ვითამაშე და ამიტომ, დასაწყისში ძალიან ვნერვიულობდიო. მართლაც, მეორე სეტი სულ სხვა გამოდგა. არადა, ისიც პირველივით, ვაიდიშოვას მიერ მოპოვებული ბრეკით დაიწყო. მაგრამ სერბმა იქვე საკადრისი პასუხი გასცა. მანვე მეექვსე და მერვე გეიმებიც მოიგო და სეტებში ანგარიშიც გაათანაბრა.

გადამწყვეტ სეტშიც თავიდან უპირატესობას სერბი დაეუფლა. მეცხრე გეიმში, მეტოქის სერვისზე, მას სამი მატჩ პოინტი ჰქონდა, მაგრამ ვერცერთის გამოყენება ვერ შეძლო და ვერც მომდევნო გეიმში, თავის სერვისზე ივარგა. ივანოვიჩმა საპასუხო ბრეიკი აიღო, რასაც თავის მოწოდებაზე მოპოვებული კიდევ ერთი ქულა დაურთო და პირველად დანინაურდა. თითქოს, თამაში დიდხანს უნდა გაწელილიყო, მაგრამ ის მე-12 გეიმშივე, ჩეხის მიერ გადამწყვეტ მომენტში დაშვებული ორმაგი შეცდომით დასრულდა.

კაცების მეოთხე წრე ვერ გაიარა ავსტრალიელმა **ლეიტონ ჰიუიტმა**, ვისაც მეოთხედფინალისკენ გზა სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** გადაუღობა. მათი დუელის დაძაბულობაზე თუნდაც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ოთხიდან სამ სეტში გამარჯვებული ტაიბრეიკზე გამოვლინდა და სამივე ჯოკოვიჩმა მოიგო. ოზი მეჩოგნე უიმბლდონს, რომელიც ერთხელ (2002 წელს) აქვს მოგებული, 2003 წლის შემდეგ მეოთხედფინალზე ადრე პირველად გამოეთიშა. ჯოკოვიჩს კი შანსი აქვს, საფრანგეთის ღიას შემდეგ, უიმბლდონზეც ნახევარფინალს მიაღწიოს. ამით კი იმას ამტკიცებს, რომ უნივერსალი მოთამაშეა და ადრე თუ გვიან, სერიოზულ მეტოქეობას გაუწევს ტოპმეჩოგნეებს. მეოთხედფინალში მისი მეტოქე ბაღდატისი იქნება.

ნადალმა კი, როგორც იუჟნის დამარცხების შემდეგ განაცხადა, ბალახზე, თავის კარიერაში საუკეთესო თამაში აჩვენა. არადა, პირველ ორ სეტში ამას ნამდვილად ვერ ვიტყოდით. ის ვერაფრით ახერხებდა რიტმში შესვლას და შედეგად, ორი საწყისი სეტი დათმო კიდეც. მაგრამ შემდეგ რუსს წელის ტკივილი დაეწყო, რამაც მის თამაშს უარყოფითი დაღი დაასვა.

მესამე წრის შემდეგ, იუჟნის (ამავე ტრავმის გამო, მან ჰალეს ტურნირი მიატოვა) კორტის გარეთ გასვლა და ექიმის დახმარება დასჭირდა. მერე კი, კორტზე რომ დაბრუნდა, ჯეროვანი წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია ტურნირის შარშანდელ ფინალისტს, ვინც ამ ერთ წელიწადში ორჯერ დაუმარცხებია.

"მესამე სეტში ექიმის გამოძახება არ მსურდა, რადგან ეს ნადალისთვის მოტივაციის დამატებითი წყარო გახდებოდა, - წაგების შემდეგ განაცხადა რუსმა. მაგრამ მალე მიხვდა, რომ ვერც გამაყუჩებლის გარეშე მიაღწევდა სანადელს და ექიმსაც სწორედ ამის გამო უხმო. მეოთხე წრის დასაწყისში, როცა ანგარიში 1:1 (30:30) იყო, თითქოს გაწვიმებას აპირებდა, მაგრამ ამჯერად ამინდმა მოცდა ამჯობინა და ასე, ფაქტობრივად იუჟნი გაწირა. მერე კი, როცა ნადალი 3:2 დაწინაურდა, იუჟნიმ კვლავ ექიმი გამოიძახა. ნადალი კი თამაშის შემდეგ იძახდა, ჩემი გამარჯვება ჩემი მონდომებისა და მიზანსწრაფულობის შედეგიაო. ესპანელს მეოთხედფინალში საქმე ჩეხ **ტომაშ ბერდიხთან** ექნება, რომელმაც საკმაოდ იოლად დაძლია შვედი **იონას ბიორკმანის** წინააღმდეგობა.

მერაბ ლორთქიფანიძე

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ

მეოთხე წრე

რაფაელ ნადალი (ესპ, 2)-მიხაილ იუჟნი (რუს, 14) 4:6, 3:6, 6:1, 6:2, 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 4)**-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალ, 16) 7:6(8), 7:6(2), 4:6, 7:6(5); **მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 10)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 6) 7:6(5), 7:6(5), 6:3; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 7)**-იონას ბიორკმანი (შვედ, 19), 6:4, 6:0, 6:7(6), 6:0

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

მეოთხედფინალი

ვენუს უილიამსი (აშშ, 23)-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 5) 6:3, 6:4; **ანა ივანოვიჩი (სერბ, 6)**-ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 14) 4:6, 6:2, 7:5

ყოველკვირეული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით გაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეფაპიძე, ქეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
გაჯარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგნატიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა, 0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოლის ყოველდღე. გარდა კვირისა